

1019

საქართველოს  
საბჭოთაო  
საბჭოთაო

# საქართველო

საქართველოს  
საბჭოთაო



1919



№ № III, IV

საქართველო  
მე-XV.

საქართველოს  
მედიის და  
საბჭოთაო

შინაარსი მოზრდილთათვის.

1. ლუარსაბ ბოცვაძის სურათი . . . . .	1
2. ქართველი ლაშქარი, — ლექსი ი. მკედლი- შვილისა.	
3. შვიდნი, — ლექსი შიო მღვიმელისა . . . . .	3
4. დათოს რაზმი, — არ. ფანცულაიასი . . . . .	5
5. ბულბულთ ხელმწიფის ასული, ხალხური (შემდეგი) გალექსილი დ. კასრაძის მიერ . . . . .	20
6. ძმა ძმისთვის შავი დღისთვის, — ნ. ყორ- ჩიბაშისა . . . . .	32
7. სიმღერა, — ლექსი ი. სიხარულიძისა . . . . .	43
8. უცნაური ყმაწვილი, — მოთხრ. კენტისა, თარგ. ნ ნინიძისა . . . . .	45
9. ლუარსაბ ბოცვაძე, — აღ. მიქაბერიძისა . . . . .	53
10. მორის მეტერლინკი, — გ. ჯაბაღარისა . . . . .	59
11. კოტი და სინათლე, — ლექსი დ. ელიოზი-	



† ბავშვების მეგობარი  
ლუარსაბ ბოცვაძე.  
გარდაიცვალა 24 ივნისს.



F 58/6  
F 33420  
196.



## ქართული ღაშქარი.



ამაზ-ლამაზი ბიჭები  
მზიურ ღიმილით ჰფერიან,  
მოდინ გამარჯვებულნი,  
საქართველოზე მღერიან.


მათ ბევრი ომი გადახდათ  
მკაცრი და დაუდგრომელი,  
მაგრამ ვინ დადგა იმათ წინ,  
ვინ იყო, სად და რომელი?!

გადაარჩინეს სამშობლო,  
იმისი ხალხიც მშრომელი,  
განადგურეს მტარვალი  
ქვეწარმავალი, მძრომელი.

და ქული გვერდზე რო ჰხურავთ,  
მზიურ ღიმილით ჰფერიან,  
მოდინ გამარჯვებულნი, —  
საქართველოზე მღერიან.

ი. მკედლიშვილი





# შვიღნი.

(26 მაისი).



1.

ვაილებმა დამბატოეს  
და მაწვიეს შწვანე მდელოს,  
დამკოცნეს და ასე მოთბრეს:  
გაუმარჯოს საქართველოს!

2.

წყარომ ტკბილად შემომტინა,  
ველმა გადაიხსნა გული,  
ჩამიკრა და მომილოცა  
საქართველოს გაზაფხული.

3.

გული მერცხლად გადამექცა,  
ფრთა ვეკვიტე და ავიქნიე,  
ჩემი ქვეყნის სიხარულით  
მზის სხივებში გავეხვიე.

4.

მეც თან აყევი ვით ტოროლა  
და მივეკარ ცისარტყელოს,

ვარსკლავები იძაბოდნენ  
 ვაშა, ვაშა საქართველოს!

5.

და მე კი ეს აღტაცება  
 აქ ვარდისგან გავიგონე,  
 ავგალობდი ბულბულივით  
 და ფურცლებზე დავეკონე.

6.

შევარდენად შევიცვალე,  
 გადვიფრინე შორი მთები,  
 და რაც აქ არ გავიგონე  
 იქ მოვფინე იგივე ხმები.

7.

ყველანი კი შეიდ მნათობის  
 სახით უმზერო საქართველოს  
 და ერთის ხმით გავიძაბით:  
 იცოცხლოს და იღღევგრძელოს!...

შიო მღვიმელი.

1919 წ.





## დათოს რაზმი.

**დ**ათო ჯერ ცხრა წლის თუ იქნება, მაგრამ მას მთელი სოფელი იცნობს. ის ცქრიალაა, ერთ ადგილზე ვერ ისვენებს, ხან თავის ტოლებთან თამაშობს, ხან ვინმეს რამეს ედავება.

ერთი მშვენიერი ჩვეულებაც დაჰყვა მას: ხუთი წლის რომ გახდა, მას შემდეგ მის თვალეზზედ კრემლი არ უნახავთ.

ეშმაკობის დროს ის ხშირად გაულახავთ, მაგრამ მას არც მაშინ უტყრია. პირიქით, გამლახველს გასაჯავრებლად სხაპასუპით ეტყოდა:

— აჰა, ბევრი მირტყი, ხელები კინალამ დაიმტვრიე, მაგრამ შენს ჯინზე აბა მიყურე, თუ ვიტყროო.

დათო მშობლების ერთაა. მისი მამა ქალაქ №-ში თამბაქოს ქარხნის მუშაა.

მართალია, ის მდიდარი არაა, მაგრამ შეძლებისდაგვარად დათოს არაფერს აკლებს.

დღესასწაულები ისე არ ჩაივლის, რომ რამე მისთვის საამო არ უყიდოს.

ქალაქი № შორს არაა დათოს სოფლიდან. სულ რაღაც ორი ვერსით თუ იქნება დაშორებული.

მამას ყოველ კვირაობით მიჰყავს დათო ქალაქში.

პირველ ხანებში დათოს ძლიერ აკვირვებდა ქალაქის საბ-  
თულიან სახლების სიდიდე და სიმშენიერე.

— მამა, ჩვენ რატომ არ გვაქვს ასეთი სახლი? ჩვენს სო-  
ფელში ასეთი სახლი არ აშენდება? — ეკითხებოდა ის მამას.

— ჩვენ, შვილო, ფული არ გვაქვს, ღარიბები ვართ.

ჩვენ გლახა სახლებში უნდა ვიცხოვროთ, კარგი სახლე-  
ბის აშენება მარტო ბურჟუას შეუძლია, — უპასუხებდა მამა.

დათო ხშირად ეკითხებოდა მამას დიდმუცელა კაცებზე,  
კობტად ჩაცმულ ბავშვებზე, მათ სათამაშოებზე, მაგრამ ყო-  
ველთვის გულდასაწყვეტ პასუხს ღებულობდა.

— მამა, ყველაფერი იმ ბურჟუას რომ ყოფილა, ჩვენ  
რატომ არ გვაქვს?

— ჩვენ ბურჟუამ წაგვართვა ყველაფერი, რაც კარგი  
იყო, მალე ჩვენ ისევ უკან წაგვართმევთ და ჩვენც გვექნება,  
შვილო!

— მალე წაგვართმევთ?

— კი, შვილო, მალე წაგვართმევთ.

დათოს გული შურის ძიებით ევსებოდა.

ქალაქიდან დაბრუნების შემდეგ იგი დედას უყვებოდა  
ამბებს დიდ შენობებზე, დიდმუცელა კაცებზე და კობტად ჩა-  
ცმულ ბავშვებზე.

დათოს სიხარულს ფრთები შეასხა 1917 წლის რევოლიუ-  
ციამ. მას განსაკუთრებით ის ახარებდა, რომ ყველა მისი მე-  
ზობლები, დიდი და პატარა, განსაკუთრებით ღარიბები, აღ-  
ფრთოვანებული იყვნენ.

მას ასეთი რამ ჯერ არ უნახავს.

მამის აღტაცებას ხომ საზღვარი არ ჰქონდა და ეს უფრო  
აორკეცებდა მის სიხარულს.

ამას დაუმატეთ ისიც, რომ სოფელში თითქმის ყოველ-  
დღე იმართებოდა კრებები, ლაპარაკობდნენ ქალაქიდან ჩამო-  
სული ორატორები, მღეროდნენ რევოლიუციონურ სიმღერებს.

მის ცხოვრებაში აღსანიშნავია ერთი კვირა დღე: ამ დღეს  
ქალაქ №-ში დანიშნული იყო მახლობელ სოფლების დიდი  
მიტინგი\*).

\* მიტინგი — კრება.



მიტინგის მოსაწვევად სოფლებში დაჰქროდა გაზარებული დათოს შამა.

ქალაქ №-სკენ მიდიოდნენ ქალები და კაცები, მოხუცებული და ახალგაზრდები.

მიდიოდნენ ჯგუფ-ჯგუფად, ყოველ ჯგუფს წინ მიუძღოდა წითელი დროშა. შეუწყვეტლივ მღეროდნენ რევოლიუციონურ სიმღერებს.

ერთი ჯგუფი მეორეს ეჯიბრებოდა სიმღერაში.

დათოს დედამ ამ დღისთვის საგანგებოდ ჩააცვა წითელი ხალათი, წითელი წულა, ფავზე გურულად დაახურა ახლად ნაყიდი წითელი ყაბალახი და ერთად წაივინდნენ №-სკენ.

მიტინგი გაიხსნა ქალაქის წითელ მოედანზე, იქ, სადაც 1905 წელს ნიკოლოზ მეფის ჯალათებს დაეხოცა რევოლიუციის მომხრე მუშები.

ვეებერთელა მინდორზე ხალხის ტევა არ იყო.

დათო გაკვირვებულად იხედებოდა იქით-აქეთ.

ყველაზე უფრო ის აკვირვებდა, რომ აქ მდიდრულად ჩაცმულები სულ არ იყვნენ.

აქა-იქ ერია მისი ტოლები, და მათაც მასზე უარესი ტანსაცმელი ეცვათ.

— დედა, ისინი სად არიან, აი მე რომ გეუბნებოდი ლამაზ ჩაცმულებზე?— ჩასჩურჩულა მან დედას.

— ისინი, შვილო, სახლში იმალებიან. ეს ხალხი მათი მტერია. მე ხომ ვითხარი, ღარიბების დღე თენდება მეთქი. მალე ყველას ერთნაირი ტანსაცმელი გვექნება, არც მდიდარი იქნება და არც ღარიბი.

ამ დროს შეიქნა ჩოჩქოლი, ხალხი ეძალებოდა მოედნის შუა გულისკენ, სადაც დაედგათ დიდი მაგიდა.

სოფლებიდან მოტანილი დროშები მაგიდის გარშემო ჩემ-წკვრივებიან ისე მოხდენილად და ლამაზად, თითქოს წითელ ყვავილების ოთახი ამოსულიყო ხალხის შუაგულზე. დათოს ყურადღება ამ დროშებზე მიიჯაჭვა.

უცბად სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.



ეს ურიცხვი ხალხი ერთი ხელის მოქნევით დაწყნარდა.

— აშხანაგებო! — გაისმა გაკაყებულნი ხმა მაგიდაზე ასულ თმა-ქოჩორა, ფერ-მიმკრთალ, ხმელ-ხმელ მუშისა.

მუშამ დიდ ხანს ილაპარაკა, ზოგან საშინლად დღელავდა; მისი მკვეთრი და გრძნობიერი სიტყვა მსმენელთაც აღელვებდა. ბევრი სიხარულისაგან ცრემლებსაც კი ჰღვრიდა.

ორატორმა მიტინგს მიულოცა მეფის ტახტის დაცემა, ასწერა. წარსული შავი დღეები და უსურვა რევოლიუციის ერთგულად სამსახური და დაცვა.

ორატორის სიტყვას მოჰყვა დაუსრულებელი ტაში და „ვაშას“ ძახილი.

პირველი მოლაპარაკის შემდეგ მაგიდაზე ავიდა დათოს მამა. მას ტაშის-ცემით შეხვდნენ.

დათოს ძლიერ გაუხარდა დროშებ შუა უეცრად ამოსულ მამის დანახვა და ხმა მალლა დაიძახა „მამა!“ მაგრამ დედამ მუჯღლეუგუნით ჩააჩუშა.

დიდხანს ილაპარაკა დათოს მამამაც.

სიტყვის ბოლოს ის შეეხო სახალხო მილიციის შექმნის საჭიროებას.

ჩვენ დავმარხეთ ჩვენი სისხლის მსმელ მეფის ტახტი, უმთავრესი მტერი რევოლიუციის დამარცხებელია, მაგრამ რევოლიუციას სხვა მტრებიც, ჰყავს, — ეს არის შინაური უწესრიგობა და გარეშე მტრების საფრთხე.

ჩვენ სისხლით მოვიპოვეთ ეს თავისუფლება და სისხლითვე უნდა დავიცვათ ის!

საჭიროა ახლავე შევექმნათ რევოლიუციის მცველი რაზმები. ლარიზნო და მაშვრალნო! ჩვენს მტრებს არ სძინავთ!

ჩვენ მუდამ უნდა გვყავდეს მზად ჩვენი შეიარაღებული ძალები, რომ საჭიროების დროს რისხვა დავატებოთ თავს ჩვენს მტრებს!

დათოს მამის ამ სიტყვებმა მზურვალე ტაში გამოიწვია. ეტყობოდა ყველას მოეწონა მისი აზრი.

დათოზედაც დიდი გავლენა იქონია ამ სიტყვებმა.



მას გაახსენდა მამის ნაამბობი, ჩვენ ფული არ გვაქვს, ღარიბები ვართ, კარგ სახლებს მარტო ბურჯუა აშენებსო. ის დააკვირდა აგრეთვე იმ სახლს, რომლისკენ ლაპარაკის დროს თითი გაიშვირა მაშინ მამამ.

დათოს იქვე მოუვიდა თავში აზრი თავის ტოლებიდან რაზმის შედგენის შესახებ.

— თუ მალე შევედგინე რაზმი, ვუჩვენებ თავის სიერს იმ თავებდ ბურჯუას, რომ ყველაფერი მას ჩაუგდია ხელში, — ლაპარაკობდა ის გულში.

ბურჯუას მტრობამ და რაზმის შედგენის ფიქრმა ისე გაიტაცა ჩვენი დათო, რომ სხვა მოლაპარაკისათვის არც კი დაუგდია ყური.

მიტინგის მეორე დღიას დათო სოფელში დაჰქროდა.

სალამოსთვის ეკლესიის ეზოში დანიშნული ჰქონდა თავის ტოლების კრება. მოიწვია მარტო ღარიბების შვილები. უნდა გაერჩიათ კითხვა რაზმის შედგენის შესახებ.

ვისაც კი გააცნო ეს აზრი, ყველას მოეწონა და სიამოვნებით დაჰპირდნენ — კრებაზე მოვალთო.

მართლაც, სალამოს, დანიშნულ ალაგას, ოცდახუთამდის მის ამხანაგებს მოეყარათ თავი.

შშვენიერი ამინდი იყო. ბუნება და ეკლესიის ეზოს სიდიდე პატარებს სათამაშოდ იზიდავდა. ერთმა ჯგუფმა კიდევ შემოიტანა წინადადება, — ცოტა ხანს ბურთი ვითამაშოთო, მაგრამ მათ დათომ შავი დღე დააყენა:

— ამხანაგებო! დღეს ჩვენ დიდი საქმე გვაქვს გასაკეთებელი. ბურთის თამაშის დრო გავიდა.

ბურთის თამაშის მოსიყვარულე ბავშვები დათოს ამ სიტყვებმა ძლიერ დააღონა მაგრამ ენა-ამოუღებლივ დამორჩილდნენ.

დათომ დიდი ვაი-ვაგლახით მოუყარა მათ თავი ერთ ადგილას და კრება გახსნა. თავმჯდომარეც თვითონ იყო და ორატორიც.

— ამხანაგებო! — დაიწყო დათომ, — ღარიბების დღე გათენდა. ხომ იყავით გუშინ ქალაქში, ბევრი ხალხი ხომ იყო იქ. რას ამბობდნენ ხომ იცით?



მდიდრები და ღარიბები თურმე ყველა მალე ერთნაირი იქნებიან, თურმე ყველა მდიდრები ვიქნებით, თუ ვაჯობებთ ბურჯუას. ბურჯუა ვინაა—ხომ იცით, აი ქალაქში დიდ მინდორთან რომ დიდი სახლები აქვს—ისაა.

თურმე იმ ბურჯუას წაურთმევეია, თორემ ჩვენ ყველაფერი გვექნებოდა: კამფეტები, ლამაზი ტანსაცმელი და კარგი დიდი სახლი.

მე დღეს ღარიბებს დაგიძახეთ. მამამ მითხრა, მუშის შვილები არ უნდა გაერიონ მდიდრების შვილებშიო, ჩვენ მუშათა პარტია ვართო, და ისინი ბურჟუებისო.

დიდები ადგენენ რაზმებს ბურჯუას წინააღმდეგ, და ჩვენც უნდა შევადგინოთ რაზმები,—დაათავა მან.

ეს აზრი ყველას მოეწონა.

ყველამ განაცხადა სურვილი რაზმში ჩაწერისა.

კრების ერთი წევრი—ილო—მდიდრის შვილი ყოფილიყო, და მის ჩაწერის საკითხმა გამოიწვია ცოტაოდენი მითქმა-მოთქმა.

—მდიდრის შვილს ვერ მივიღებთ ჩვენს რაზმში,—სთქვა დათომ.

ილო შეწუხდა. ეტყობოდა ძლიერ დასწყდა გული.

—ილო კარგი ამხანაგი რომ იყო, მისთვის წამოვიყვანე; რასაც ჩვენ ვიზამთ იმას ისიც შეასრულებს,—უპასუხა გრიშამ. ილოს მამა დათოს მამის ამხანაგი იყო და რევოლუციის ერთგული მუშაკი.

გულდაწყვეტილ ილოს მარჯვენა ხელის შუა და სალოკი თითები პირში ჩაედვა, თავი მიწისაკენ დაეხარა და ის იყო ტირილი უნდა დაეწყო, მაგრამ უეცრად სახე გაუნათდა, გასწორდა და მხიარულად ნიშნის მოგებით მიმართა ამხანაგებს:

—მე ბიძა მყავს ღარიბი, მე მარტო მამიჩემის შვილი კი არა ვარ, ბიძა ჩემის შვილიც ვარ.

—მართალია!—დაუმოწმა ერთმა.

—მართალია, მართალია!—დაუმოწმეს სხვებმაც და იგიც დასტოვეს რაზმში.



— იარაღს ვინ მოგვცემს? — შეეკითხენ დათოს.

— ჯერ ჩვენი გმირობა უნდა დავამტკიცოთ და იარაღს მაშინათვე მოგვცემენ, — მიუგო დათომ.

— იცოდე, დათო, ჩვენ დიდი თოფები არ გვინდა, ლამაზი თოფები აარჩევინე.

— „ლივერებიც“ გვინდა და ხანჯალიც.

— მე ხელთოფა მაქვს.

— მე პატრონა მაქვს გაკეთებული ხის კონდახზე და რომ გავარდება „დუ-უ-უო“, ზარბაზანი გეგონება.

— მე ბიძა მომიტანს ქალაქიდან...

შეიქნა ერთი ხმაურობა იარაღის გარშემო.

დათო ისევ ჩაერია საქმეში.

— ჩვენ, ამხანაგებო, ხიშტებიან თოფებს მოგვცემენ, კარგად რომ ვარდება — იმას, ოღონდ ჯერ უნდა დავამტკიცოთ ჩვენი ვაგაკობა. არ დაგავიწყდეთ, ხვალ შევიკრიბოთ ისევ ამ ადგილს. პირველად ცხენის ჰენება ვისწავლოთ, ყველამ მოიტანეთ ჯოხის ცხენები. ცოტა წაივარჯიშოთ და მალე მოგვცემენ ნამდვილ ცხენებს და თოფებს.

კრებამ თანხმობა განაცხადა და ღინჯად დაიშალა.

\* \* \*

დათო მეტად გახარებული იყო მოულოდნელი გამარჯვებით. არ ეგონა, თუ ასე სწრაფად შეადგენდა რაზმს.

გახარებული დაბრუნდა შინ, მაგრამ მშობლებისთვის არ გაუცხადებია ეს ამბავი.

— ჯერ გავწვრთნი ჩემს რაზმს, სახელს გაუთქვამ ბურჯუასთან ბრძოლაში და დაუმტკიცებ მამას, რომ მე მაზე უარესი რაზმი არ მყავს, — ფიქრობდა დათო.

ამ დღეს განსაკუთრებული ყურადღებით უსმენდა მამას და ეკითხებოდა:

— მამა, ხომ ვერ გვაჯობებს ის ბურჯუა?



მამას ძლიერ ახარებდა მისი ასეთი დაინტერესება და უპასუხებდა:

— არა, შეილო, აქამდის მან გვაჯობა, აწი კი ჩვენ ვაჯობებთო.

იმ დამეს დათოს თითქმის სულ არ უძინია.

დილის სინათლის გამოჩენა და მისი ადგომა ერთი იყო. მამა ამ დროს ჩვეულებრივად წასული იყო სამუშაოდ.

დედას გაუკვირდა დათოს ასე ადრე ადგომა.

— შე ასე მიხარია, დედა, ხომ ხედავ, რა კარგი დილაა, ვითამაშებ, — მიუგო დედას შეკითხვაზე და ბოსტნისკენ წავიდა.

აქ დაიწყო ძებნა საცხენე ჯოხის და შართლაც მშვენიერ თხილს მიაგნო.

შორიდებით, წელის კაკუნით მოჰკრა ის დათომ, კანი გააძრო, აზომა და ერთ ბოლოში წვრილი ბაწარი მოაბა.

ცხენ-ჯოხაც მზად იყო. შემდეგ ისარგებლა იმით, რომ დედას ამ დღეს შეგვეთილი ჰქონდა. მოსაქარგად ორი დროშა და ისაუბმა თუ არა, ფეხაკრებით მოჰკურცხლა ეკლესიას ეზოსკენ, სადაც დანიშნული ჰქონდა რაზმელების კრება.

თან წაიღო რასაკვირველია, თავისი ცხენიც.

დანიშნულ ადგილს ყველაზე წინ დათო მივიდა. არც სხვებს დაყოვნებიათ ბევრი. თითო-თითოდ, საქმიან სახის გამომეტყველებით მოაშურებდნენ დათოს რაზმელები.

დაპირებისამებრ ყველას ჰქონდა ჯოხის ცხენი.

დათომ ისინი დააწყო მწვერივად და თავის თავი რაზმის უფროსად გამოაცხადა.

წინააღმდეგი არვინ ყოფილა.

— აბა, ამხანაგებო! ახლა ორ-ორად დაეწყვეთ, ცხენებზე შეჯექით და აღვირი მოიმარჯვეთ. პირველად ვივარჯიშოთ ცხენების ჰენებაში. ეცადეთ ერთმანეთს არ დაშორდეთ და მწყობრათ ირბინოთ.

როცა გეტყვით — გაჩერდით მეთქი, — ყველანი ერთად გაჩერდით. სანამდის მამს არ გეტყვით, სულ მწყობრად უნდა ირბინოთ, — დაარიგა დათომ რაზმელები.



სანამ ის სირბილის ბრძანებას გასცემდა, ბევრს დაეხმუნებოდა და ეკარგებოდა.

— აბფერ, დათო! ეს კარგი მოიგონე!

— ჩემი ცხენი ყველას გაუსწრებს!

— შეხეთ, ჩემი ცხენი რა ბედაურია?!

— რას ვუყურებთ, ვირბინოთ! — იძახოდნენ ყოველ მხრიდან.

— სმენა იყოს! — ბრძანა რაზმის უფროსმა დათომ.

ყველა გაჩუმდა.

— როცა ჩავითვლი — ერთი, ორი, სამი — მეთქი, ყველანი ერთად გავიქცევით აი იმ დიდ ცაცხვის ძირისკენ. იქიდან ისევ აქ მოვბრუნდებით. აბა ყური დამიგდეთ:

— ერთი! ორი!.. — სამი! — ზოგი რაზმელი „ორის“ დათელისთანავე დაიძრა, მაგრამ დათომ უცბათ მოუსწრო „სამი“ და თვითონ ცოტა მოშორებით გაიქცა, რომ ეთვალთვალა თავის რაზმელებისათვის.

— სწორად, სწორად! — უძახოდა ის ამხანაგებს, რომლებიც სირბილით მიწაზე ასკდებოდნენ.

ზოგს, ეტყობოდა, ძალიან უღალატა, დაიქანცა; ცალი ხელით აღვირი ეჭირა, მეორე მუცელზე დაეჭირა და ჩქარის სუნთქვით ძლივს მირბოდა, მაგრამ, ამხანაგების სირცხვილით, ჩამორჩენას ისევ განვალებული სირბილი ერჩია.

დანიშნული მანძილი რაზმმა წარჩინებით, მწყობრათ მიიღობინა და უმარცხოდ დაბრუნდა უკან.

— ცხენებზე ჯდომა კარგი გკოდნია, მგონია მეტი ვარჯიშობა არ დაგვჭირდება, — მიმართა რაზმს დათომ.

— გვეყოფა, გვეყოფა! — უპასუხეს რაზმელებმა.

— მაშ, ახლა თოფით ვარჯიშობა ვისწავლოთ. სანამ თოფი გვექნებოდეს, თოფების მაგივრად ჩვენი ცხენები ვიხმაროთ.

— დაეწყვეთ აი ასე, მწყვრივად.

რაზმი დაეწყო.

— ჩამოდით ცხენებიდან. ახლა ყური მიგდეთ: ცხენები ხელში ასე დაიკავეთ!



რაზმელებმა ჯობ-ცხენები მარჯვენა ხელში დაიკავეს ისე, როგორც დათოს ეკავა:

თავები მაღლა უჭნეს და კული მარჯვენა ფეხთან მოუდვეს.

— ცხენები მხარზე გაიდევით! — ბრძანა რაზმის უფროსმა და თავისი ჯობ-ცხენი მარჯვენა მხარზე გაიდვა.

სხვებმაც შეასრულეს ეს ბრძანება, თუმცა მან დიდი სიცილი გამოიწვია.

— აქამდის ჩვენ ვიჯექით ჩვენს ცხენებზე, და ახლა ცხენები დავიჯდინეთ თავზე.

— უჰ, რა მჩატე ყოფილა ჩემი ცხენი!

— ბიჭო! წიხლი მკრა ჩემმა ცხენმა და ზედ ყურის ძირზე მომარტყა! — ხუმრობდნენ რაზმელები.

დათომ ისინი დააწყნარა, ჯობ-ცხენ-თოფებით შემოაარონია ეკლესიის მთელი ეზო, მოიყვანა იმავე ადგილას და ბრძანება გასცა დასვენებაზე.

— ეტყობა, ამხანაგებო, ჩვენ თოფით ვარჯიშობაც კარგათ გეცოდნია. საჭიროა ცოტა გმირობა გამოვიჩინოთ, და ნამდვილ თოფებს მოგვეცემენ. ხომ იცით, ჩვენი მიზანია ბურჯუას დამარცხება?! — სთქვა რაზმის უფროსმა.

— სანამ თვითონ იმ ბურჯუას დაეპარცხებდეთ, აი დათომ რომ გვითხრა, ჩვენ შეგვიძლია მისი შვილი გავლახოთ. მაშინ მოგვეცემენ თოფებს და ცხენებს. თქვენ არ გინახავთ, რა მსუქანი და ჩაცმული ჩვენი ტოლი შვილი ჰყავს იმ ბურჯუას? ჩვენისთანა ლარიბების შვილს რომ დაინახავს, არც კი შემოჰხედავს. ერთ დღეს წყლის პირად იყო და კამფეტს ჭამდა. მე უთხოვე, მაგრამ არ მომცა.

მე წართმევა დაფუბორე, მაგრამ მასთან მყოფმა მოსამსახურე ჭალმა გამლახა. მე რომ ეტიროდი, ბურჯუას შვილს უხაროდა! — სთქვა რაზმელმა გოგიამ.

— უჰ, მაშინ იქ რომ ვყოფილიყავით, იმ კამფეტსაც წავართმევდით და მასაც გავლახავდით!

— ახლავე მოენახოთ და გავლახოთ!

— კარგი აზრია, წავიდეთ!

— თუ კიდევ აქვს კამფეტი წაეაროვათ! — ისმოდნენ მელეებისაგან დასტურის გამოძახილი.

დათოსაც მოეწონა ეს აზრი.

— როდის წავიდეთ, ამხანაგებო? — იკითხა მან.

— ახლავე, ახლავე! — იგრიალა მთელმა რაზმმა.

— კარგი, მაგრამ ჩვენ არეულად ვერ წაველთ, — მწყობრად უნდა წავიდეთ, თან წინ უნდა მიგვიძლოდეს წითელი დროშა, — მიუფო რაზმის უფროსმა.

— მე მაქვს სახლში დროშის ნაჭერი. გუშინ მეზობლისას კერავდნენ დროშას. ნაჭერი, მორჩა და მე მოვიპარე, — ჩემთვის მინდოდა პატარა დროშის გაკეთება. ჩემი სახლი ახლოსაა, გავიქცევი და ახლავე მოვიტან.

— შეგეკვი ცხენზე და ახლავე მოიტანე! — უბრძანა მას რაზმის უფროსმა.

ილო გაიქცა.

მის მოსვლამდის დათომ დააწყო რაზმი და უბრძანა ცხენებზე შეჯდომა.

ილომაც მოიტანა დროშის ნაჭერი.

დათომ ნაჭერი თავის ცხენზე წამოაგო და დროშაც მზად იყო.

— ცხენები ნაბიჯით წაიყვანეთ, წავიდეთ! — ბრძანა დათომ და თვითონ დროშით ხელში წინ წაუძღვა რაზმს.

ქალაქის წითელი მოედანი, რომლის ახლოსაც იყო დათოს „ბურჯუას“ სახლი, არც ისე ახლოს იყო, მაგრამ მის სიშორეზე არავის უთქვამს არაფერი.

ახალგაზრდა რაზმელების მწყობრი მსვლელობა ჯოხის ცხენებზე ძლიერ აკვირებდა მნახველებს, მათზე ლაპარაკობდნენ, იცინოდნენ და ზოგან „ვაშა“-საც უძახოდნენ.

ეს უფრო ამხნეებდა დათოს რაზმელებს.

თვით დათოს ისევე მალლა ეჭირა დროშა და მიუძღოდა რაზმს.

რაზმის დანახვაზე აქა-იქ ახმაურდნენ ძაღლები, მაგრამ მოსალოდნელ ხიფათს რაზმი კეთილმა გამვლელებმა ააშორეს, — ძაღლებს ისინი უგერიებდნენ.

რაზმი მშვიდობიანად მიუახლოვდა წითელ მოედანს.

დათომ რაზმელები „ბურჯუას“ სახლის ახლოს გააჩერა და უბრძანა ცხენებიდან ჩამოსვლა.

— ამის შემდეგ ჩვენი ცხენები თოფები იჭნება. მე გავიგებ, თუ სად არის ბურჯუას შვილი, შემდეგ დაებრუნდები და წაგიყვანთ. მე შივალ ბურჯუას შვილთან ენის ამოუღებლად და გეტყვით—დაარტყით მეთქი, და თქვენც დაურთეთ თოფები.

როცა გეტყვით—დაანებეთ თავი-მეთქი, მე გამომყევით და ნწყობრად გამოვიქცეთ. იკოდეთ, არაფრის შეგეშინდეთ!— დაარიგა დათომ რაზმელები და ორი რაზმელის თანხლებით წავიდა „ბურჯუას“ შვილის მოსაძებნად. ბურჯუას ეზოს შიდალი გლავანი ჰქონდა შემოვლებული და შიგ შესვლა მარტო ქიშკრიდან შეიძლებოდა.

დათომ ქიშკრიდან შეიხედა ეზოში და უმაღლვე თვალი მოჰკრა „ბურჯუას“ შვილს: ის მსახურ ქალს ბაღჩაში ჩაეყვანა, იქ სუფრა გაეშალა და საქმელს შეექცეოდნენ.

დათოს არც კი შეუნიშნავს თვითონ „ბურჯუა“, რომელიც ღიმილით გადმოჰყურებდა თავის შვილს მესამე სართულიდან.

ის გამოეჭანა რაზმისკენ და უბრძანა მას:

— მე გამომყევით, არ აჩქარდეთ, ფრთხილად!

რაზმი ფეხ-აყრფით გაჰყვა.

რაზმს კოტა დაშორებით მიჰყვებოდა მთელი გროვა ბავშვებისა, რომელთაც იტაცებდა ეს მშვენიერი და მიწიღველი სანახაობა.

ეზოში პირველად დათო შევიდა, მას მიჰყვნენ სხვებიც. ბაღჩაში ჩასვლისა და „ბურჯუას“ შვილთან მიახლოებამდის ბევრ რაზმელს შიში დაეტყო.

თითქოს ყოველი მათგანი ჩამორჩენას ცდილობდა, ისე ნელა მიაბიჯებდნენ.

დათო ხშირად ვადმოხედავდა რაზმელებს და ხმა-დაწევით ვადასძახებდა:



— რას შერებით? დაუჩქარეთ, არ შეშინდეთ! რაზმელების შეხედვამ, ცოტა არ იყოს, თვითონ მასაც დაუკარგა ფერი.

საქმე კარგად მიდიოდა, მიზანი უსათუოდ მიღწეული იქნებოდა, მაგრამ ბაღჩას რომ მიუახლოვდნენ, საშინელი ამბავი დატრიალდა:

ბაღჩის შესავალითან, ჩრდილ-ქვეშ, იწვა „ბურჯუას“ უშველებელი ქოფაკი ძაღლი.

რაზმელებს მიახლოვებამდის არ შეუნიშნავთ იგი, ყველას თვალები „ბურჯუას“ შეილისაკენ მიეშტერებინა.

უნამუსო ქოფაკმა დაინახა თუ არა რაზმელები ჯოხებით მხარზე, მისკენ მიმავალი, ზეზე წამოიჭრა და საშინელი ღრიალით მათკენ გაეჭანა.

— არ შეგეშინდეთ, ამხანაგებო! მაგრად იყავით, მოიმარჯვეთ თოფები! — დასძახა დათომ, უკან მობრუნდა რაზმისკენ, მაგრამ რა ნახა?

ძაღლის დანახვამ რაზმელებს თავზარი დასცა:

ზოგი ხისკენ მირბოდა და ზედ ასელას აპირობდა; ზოგს დაეგდო ცხენ-თოფი და უმოწყალოდ გარბოდა ჭიშკრისაკენ.

ოთხიოდე რაზმელი-ლა იღბა დათოს ახლოს. ამათაც ხელიდან გაეარდნოდათ თოფები, საშინლად დაეკყიტათ თვალები და მათკენ მომავალ ქოფაკს სლუკუნით და მიწაზე ფეხების ცემით შეპყურებდნენ.

წახდა დათოც, მაგრამ შენიშნა, რომ გაქცევაც დაგვიანებული იყო.

ქოფაკი მთლად მიუახლოვდა, და ის იყო უნდა დაეველო ბისტეის პირი, რომ ის გასწორდა, მარცხენა ხელით მალლა ასწია დროშა, მარჯვენათი სწრაფად აიღო ამხანაგის თოფი, იქვე მიწაზე დაეარდნილი, — ერთხელ დაარტყა თავზე დამცემ მტერს და უკან გაუხტა.

ქოფაკი მაინც მისკენ მიიწედა.

დათომ თოფი შიგ თვალებში სთხლიშა.

ამან უფრო გააფიცხა ზანტად მებრძოლი ქოფაკი და უკვე გასაქცევად მიბრუნებულ დათოს ზურგში დაავლო პირი.



საბედნიეროდ, ქოფაქი ბებერი ყოფილიყო და კბილი არ ჰქონოდა.

ორ-სამჯერ მოაკოტრილა გამარჯვებულმა უღმობელმა მტერმა რაზმის უფროსი და შემდეგ, თითქოს მოსწყინდაო, მოშორდა და განზე დადგა.

ყველაფერი ეს ისე ჩქარა მოხდა, რომ დათომ ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო.

თუმცა ასე დამარცხდა, მაგრამ მის თვალებს ახლაც არ მოსდგომია ცრემლები.

რაზმის დროშა ისევ მარცხენა ხელში შერჩენოდა და გულზე მიეკრა.

მოშორდა თუ არა ეს აბეზარი, მოულოდნელი მტერი, იგი უმაღლეს წამოხტა, მიმოიხედა, მაგრამ მისიანი ახლოს არავინ იყო.

მხოლოდ მოშორებით მოსჩანდა ხუთიოდე მისი რაზმელი, რომელნიც ხეზე გასულიყვნენ და ფერდაკარგულნი გაოცებით უყურებდნენ მომხდარ სურათს.

„ბურჯუას“ სახლიდან კი მის საშველად მობაჯბაჯებდა თვითონ დიდმუცელა „ბურჯუა“.

ის ხრინწიანი ხმით უძახოდა ძალღს:

— მურა! არ გცხვენია, რომ სათამაშოდ მოსულ ბავშვებს შეუტეი?! ჰა, შე ქოფაკო, შენა!

ქოფაკიც კულის ქნევით წავიდა მისკენ, თითქოს ეუბნებოდა:

— მე მხოლოდ წავეთამაშე ბავშვებს, ტყვილა წაეპკეი. არა მიენია რაო.

დათო გამოერკვა, ზიზლით შეხედა მის დასამშვიდებლად მომავალ „ბურჯუას“, მობრუნდა ქიშკრისაკენ და ჩქარი ნაბიჯით წამოვიდა.

დროშა ისევ მარცხენა ხელში ეჭირა, მხოლოდ, თითქოს მორცხვობის ნიშნად, ცოტათი ძირს დაწეული მიჰქონდა.

— პაწია, პაწია! მოიცა, ყურს აუწყე ამ უნამუსო მურას, შენ კი კამფეტებს მოგცემო, — ესმოდა დათოს „ბურჯუას“ ძახილი, მაგრამ ის უფრო, ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა.

ათასი ფიქრი ტრიალებდა მის თავში, მაგრამ სანუგეშო არც ერთი არ იყო.

არ მოელოდა, თუ ასე უღალატებდნენ ამხანაგები.

— როდის, როდის ვიქნები დიდი კაცი, რომ ძალლი არ მომერიოს... ოჰ, რას ვუზამდი იმ ბურჯუას და იმ დიდ ძალლს?! — ფიქრობდა გულდაწყვეტილი დათო და ჩქარის ნაბიჯით მიდიოდა სახლისკენ.

ერთხელაც არ უფიქრია დამფრთხალ რაზმელების გამოწახვაზე.

სახლში რომ მივიდა, ის მთელ დღეს თვალაცრემლებული იყო.

შშობლებმა რომ ამის მიზეზი ჰკითხეს, დათომ დაწერილებით აუწერა რაზმის თავგადასავალი.

მამამ გულიანად გადიხარხარა, გადაკოცნა ახალგაზრდა მეომარი შვილი და ამშვიდებდა:

— მალე შენც დიდი იქნები, ჩემო დათო, სწავლას დაამთავრებ და შენს რაზმში სიამოვნებით შევა დიდი რაზმელები. მაშინ უსათუოდ აჯობებ ბურჯუას და მის ქოფაკსო.

არ. ფანცულაია.





# ბულბულთ ხელმწიფის ასული

(ხალხური ზღაპარი)

XXI



ულბულთ ხელმწიფემ ნადიმზე  
როგორღა მოიღობინოსა,  
თუ ამ წყაროზედ ცივის წყლით  
არ შეიცივებს ღვინოსა?  
და აი, დღესაც მსახურსა  
ჰგზავნის საღვინით ხელშია,

მაგრამ წყაროდე ვერ მივა,  
ებვევა ძილის ქსელშია.  
მეფე სხვა მსახურს გაგზავნის,  
პირველს კი შეაგინებსა,  
მაგრამ ვეზირის სიმღერა  
ამსაც მოაძინებსა.  
გაბრაზებული ხელმწიფე  
ჰგზავნის მესამე მსახურსა,  
მაგრამ დამფრთხალი ბრუნდება,  
სიმღერას მოჰკრავს რა ყურსა.  
—ხელმწიფევე ჩემო, წყაროს პირს

უცხო მოყმე ვინშეო,  
 საოცრად მღერის, კინალამ  
 მეც იქვე მივიძინეო.  
 წინა მსახურებს იქ სძინავთ,  
 თუ გსურს, თვალითა ნახეო,  
 მაგრამ ფრთხილად კი, ხელმწიფე,  
 არ ეგოს მაენე მახეო.  
 —რას მეუბნები,—სთქვა მეფემ:  
 უხმეო უცხო მოყმესო,  
 იქვე მოჰკალი, თუ ნებით  
 აქამდე აღარ მოგყვესო.  
 სწრაფად გაბრუნდა მსახური,  
 ანიშნებს ვეზირს—„მოდიო“,  
 თან უკან იყურებოდა,  
 თითქოს ჭვა სტყორცნეს, ლოდო.  
 ვეზირი აღგა. დარბაზში  
 ეახლა მეფეს წყნარადა.  
 —რას მიბრძანებთო,—ჰკითხა და  
 თარი შეიღო მხარადა.  
 —ვინ ხარ, საიდან მოსული,  
 ან რა გკიდია ფარადო?  
 —მოთანდურე ვარ, ამ თარით  
 დავალ კარიდან კარადო.  
 „თუ აგრე არის, გვაჩვენე  
 შენი ხელობა ჩვენაო.  
 მსახურნი მეტად გაქებენ,  
 არის ბუღბუღლის სტვენაო.  
 გეზირმა თავის დაკვრითა  
 ძირს გადმოიღო თარია,  
 დაჰკრა, ატირდა მყის სიმი,  
 მოჰბერაეს სევდის ჭარია.  
 თარის შიგნიდან მეფის ძე  
 ჭვითინებს მწარე მოთქმითა,

იაღონებიც აკენესდნენ,  
 ცას ჰკლავენ მეტის ოხვითა.  
 მონადიმენი შეიპყრო  
 მწუხარე ჰანგის ფრქვევამა,  
 ვეზირს კი გული გაუხსნა  
 მათმა უბრყვილო ხენეშამა.  
 აქ მიეძინა მეფესა,  
 იქით დედოფალს, ასულსა,  
 ნაზირ-ვეზირებს ვერ ვხედავთ  
 სასახლის კარით გასულსა.  
 ახლა იდროვა, ვეზირმა  
 გახსნა ერთ წუთით თარია,  
 ამოიყვანა მეფის ძე,  
 მოსწია ბედის ნარია.  
 —აფერუმ! შეხე, იქა ზის  
 შენი შუქური, მთვარეო,  
 იკმარე ტრემლი, გეთაყვა,  
 დაჯექ და გაიხარეო.  
 ოქროს ხელზედა მჯდომარე  
 ასული სკურაეს ნათლითა,  
 ღიმილსა შეუმოსნია  
 ბაგენი ცისკრის სანთლითა.  
 უხმო ტრემლებით მემკვიდრე  
 მზე ასულს დაეკონება,  
 ერთს დაიკვნესებს, უმაღვე  
 წარხდება გული, გონება.  
 წამოაყენებს ვეზირი:  
 —გიეო, ნუ ჩქარობ მიგრეო,  
 ჩადი კვლავ თარში, დროებით  
 ეგ გული გაიმაგრეო.  
 მოვა დრო, ვინღა წაგართმევს,  
 ვარდისა კოკრად ზრდილსაო,  
 იჯექი წყნარად, ვიდრე აქ

გამოაცხოებდნენ ძილსაო.  
 სთქვა და მეფის ძე უკანვე  
 ჩაპზაენა უხმოდ. თარშია,  
 კვლავ შემოაელო მის გულზე  
 სევდების შავი არშია.  
 შემდეგ მიმართა იქ მყოფებს:  
 —ადექით, გზა მაქვს ღიდიო,  
 რომ მცოდნებოდა, აქ დაკვრას  
 ოდნავაც აღარ ვცდიდიო.  
 გამოელევიდა ხელმწიფეს,  
 დედოფალს გაკვირებულსა.  
 ამილას, ბოლოს ასულსა,  
 ოდნავად აწითლებულსა.  
 —როგორ! მიდიხარ?—ჰკითხავენ  
 ვეზირსა ყოველ მხრიდანა.  
 —აბა მაშ რა ვქნა, ხომ საზრდო  
 არ მომეცემა ციდანა?  
 ამ დროს წამოდგა ასული,  
 აეგაროხს იწყვეტს გულითა,  
 ენების ჩვეულსა ოდნავ ჰშლის,  
 ჰკრთის, თვალებს ძირს ჰბრის რულითა.  
 —თუ შეიძლება... აქ დარჩი...  
 გიგულებთ ყველა ჩვენადა,  
 არ დაგჭირდება კარ-და-კარ  
 სიმღერა თავის რჩენადა.  
 ბინას მოგცემენ, ჩავაცემენ,  
 თარს მევე შეგინახავო,  
 როცა ისურვებ, ჩემს კოშკში  
 ამოხვალ, ჩემთან ნახავო.  
 —უკეთეს რაღას ვისურვებ?  
 თქვენი ბრძანება ჰხდებაო...  
 თანაც კი გულში იცინის:  
 „შებეთ, ვინ ვისთვის კვდებაო“!..

## XXII

ნადიმის შემდეგ ასული  
 ეწვევა წალკოტს, შეერთება:  
 აღარც სალაში, სიცილი...  
 ყველა მუნჯ სახით შეხედება...  
 ყვავილებს გაეკამათა,  
 ფორთოხალს, მაყვალს, ბროწეულს,  
 ლალის ვაშლს, იაგუნდისა  
 კუნწულას, მისკენ მოწეულს.  
 არც ჯეირანი ულოკავს  
 ღვინისფერ შუშა თითებსა,  
 იქით ქურციკი გაურბის,  
 გაპკრავს გიშერა ჩლიქებსა.  
 შეჭხედავს წყაროს. იფიქრა,  
 ცრემლი რად შეიწმინდაო...  
 „გრცხვენოდეს“! იმან ამხილა,  
 „აღარ ხარ ჩვენთვის წმინდაო“.  
 აქ გადმოჰყარა კურცხალი  
 ცრემლები გულის კენესითა,  
 გული გაპკენწლა, აიგზნო  
 ნალველის ფოლად კვესითა.  
 მზეს ემიჯნურა. ქიატად  
 ეტყვის: „გვერიდე ჩვენაო“!  
 ყველა გაურბის. მთვარეც სდუმს,  
 როგორც ვარსკვლავთა ენაო.  
 —რისთვის? ვის რითი შეგცოდეთ?  
 მითხარით, გამახარეთო,  
 თავს რად მარიდებთ, ბარემლა  
 გულს მიწა დამაყარეთო.  
 ან რად მიგულებთ სხვისათა,  
 ისევ ვარ თქვენი ტოლიო,



ნუ დამიმსხვრიეთ რწმენისა  
 წმინდა საბუდე ბროლიო“.  
 მაგრამ შეხედეთ, ფარშავანგს  
 არ გაუშლია მარაო.  
 არც თუ არწივსა სცალიან,  
 გედიც უყივის: „კმარაო!  
 სცოდე ეგ გული არ არის  
 წმინდა, ძველებრივ ბროლიო,  
 ის სხვამ გასტეხა, მოგტაცა,  
 როგორც არწივმა გნოლიო“.  
 და წყენით თეთრი აფრანი  
 აუშვა გრძელი ფრთებითა,  
 ტბაზე გასკურდა ამაყი,  
 აქოჩრებული ქედითა.  
 ასული უფრო გაოცდა,  
 რომ ვერ სქვრეტს ცისარტყელასა,  
 მარჯნის კუნელზე ცრემლი სდის  
 ბუღბუღს, გრძნობათა მწერალსა.  
 ლელით დაამტვრევს ტბის სარკეს,  
 გამობრუნდება მწყრალია,  
 კოშკს მიაშურებს მთრთოლევარე,  
 ბოღმა-ნაღველით მთვრალია.  
 დიდხანს იკვნესა. ვერ მიხვდა  
 დობილთ იღუმალ გლოვასა.  
 ჭფიქრობდა, ვერა ჰხედავდა  
 მათდამი რამე ცოდვასა.  
 თითქოს რულმაცა წარილო.  
 ჩუთ! ახმაურდა თარია!  
 ასული შეჰკრთა. არ ახსოვს,  
 აღარც მთა, აღარც ბარია.  
 ყური მიუგდო. სიმებსა  
 ჰანგი თან ჰყვება მტკბარია,  
 მკვნესარე, გულის მომწყველელი,

მის სევდის თანაბარია.

„მონადირემ ნუკრი დასკრა,  
 მთას აღმოხდა გულის კვნესა,  
 ფიქრთა ღვეღვმა გული ჩასწვა  
 საბრალობელ მეფის ძესა.

ტრფიალები კაეშანმა  
 ვარდი ღრუბლად გადაჰკარგა,  
 თაღის ეტლით მზის მხედარმა  
 გული სევდით ამოჰკარგა.

მთვარის ქსელში ამოჰქსოვა  
 ნარნარ სიზმრის სამოსელი,  
 სისხლის ცრემლი დაათოვა,  
 აამწვანა გიშრის ველი.

და რა იცის, ვით მიიღებს  
 სასძლო მის ძღვენს ჰაეროვანს,  
 საღგურს მისცემს, თუ ზღვად ჩანთქავს  
 აფრა-ასხმულ ფრთა-თოვლა ნავს“!

შესწყდა ჰანგი და თარიდან  
 ვაემა ამოჰყო თავია.

კოშკსა სხივები მოჰფინა,  
 ასულსა მოსკრა თვალია.

ვინ ხარ“?—მენა ვარ... მეფის ძე...

შორის ქვეყნიდან მოსული,  
 შენი ხილვისა სურვილით  
 დამქნარი, თაღით მოსილი —

უამბო, რაც რამ გადახდა,  
 ან ვით მოაგნო მის კვალსა,  
 რამდენი ვაი გადახდა

ბედით გადამტყდარ მის ხმაღსა.

ხელი გააპყრო. ასული

აქ მიხვდა თავის ცოდვასა,

ჰგრძნობს, გული გულად აღარ აქვს,  
 თრთის, ორს წყალს შუა სტოკავსა,



ბოლოს გარდასწყვეტს: უცბად ვაჟს  
 ეხვევა გზნებით მორთოლავსა,  
 უზმოდ დაჰკოცნის, მიჰყვება  
 ეუფუნა ცრემლთა თოვასა.  
 ამ დროს ნამგაღა მთვარეცა  
 ნავს შეუცურებს ღრუბლითა,  
 ხუჭუჭა თმებსა დაიბამს  
 სხივთა მქრალ ლეჩაქყურითა.

## XXIII

გადახვეული ქალ-ვაჟი  
 ჰლაბვენ ტრფობისა საზღვრებსა,  
 აღარ ჰსურთ ღამის რაშებმა  
 ასწყვიტონ გრძნობის საბელსა.  
 კოშკით დაეშენენ წალკოტში,  
 მისხდნენ ვარდნარის ძირადა,  
 მაგრამ შეხედეთ, ყველა ეს  
 უჯღებათ მეტად ძვირადა:  
 გაჰლეიძებია დედაბერს,  
 კარის მცველს, ჭვეყნის შზარავსა,  
 მიმხედარა, ვილაც წალკოტის  
 შზიურ შშვენებსა ჰპარავსა.  
 წამოფრინდება. უზმოდა  
 გაარღვევს ღრუბელთ კარავსა,  
 ახსნის ვეშაჰსა, ცეცხლს ანთებს,  
 ცას აღის ნისლით ჰფარავსა.  
 მეხი ძირს სტყორცნა, მუხასა  
 გაუპო რკინის გულია,  
 მთელი წალკოტი გაჰშალა  
 ვით ღველფის თაიგულია.  
 დაეძებს. კიდევ მიაგნო,  
 ვაჟი ასულსა ჰკოცნისა.

ცეცხლის ბორბალსა გადმოსწევს,  
 ჩანთქმა ჰსურს ტრფობის მგოსნისა.  
 მაგრამ ასულმა უეცრივ  
 წამოიწია რისხვითა.  
 დედაბერს ფერი უცვალა,  
 აქეთ მსრბოლს ერთის რიხითა.  
 — მონავ, შესდექი, ეგ ცეცხლი  
 უკანვე გააბრუნეო,  
 თავდავიწყება მწყურიან,  
 ნუ გამიფრინე ჰუნეო\*.  
 დაღნა, მთლად ჩაჰქრა ბებერი.  
 ბუტბუტით უკან ბრუნდება.  
 ქალს აღერსი ჰკლავს ვაეისა,  
 მასთან სიკედილი სწყურდება.  
 — რისთვის მოსულხარ, გენაცვა,  
 ასე შორეულ ქვეყნითო.  
 ძნელია ჩემი წაყვანა,  
 ვერ გამოითქმის ენითო.  
 ბევრნი ეცადნენ ჩემს ხელსა,  
 ბევრმა ცრემლები ჰღვარაო,  
 მაგრამ დაჰხუტეს თვალები,  
 წაეიდნენ ფარა-ფარაო.  
 გადაიხედე-გალავენს  
 როგორ ჰშვენიან თავები,  
 სისხლს შეუღებავეს კიშკრის წინ  
 ლამაზ-ლამაზი თაღები.  
 მთხოვნელნი იყვნენ, დასაჯეს,  
 ეერცერთმა გაიხარაო,  
 თვითო მათგანმა თვითონვე  
 საფლავი გაითხარაო. —  
 — მიზეზი? დიდი. ვისაც ჰსურს  
 რომ წამიყვანოს თანაო,  
 უნდა ნაძლევი მოიგოს,




როგორც მზის ოქროს ყანაო.  
 —რა ნაძლევია ისეთი,  
 ნუ თუ ვერ შევესრულებო.  
 —იყუჩე, ბალოო, ნუ ჩქარობ,  
 თორემ სულს დაიწყულულებო.  
 ყური დამიგდე, ნაძლევი  
 მკირეც არის და დიდიცა,  
 შენი ბედისა უებრო  
 ცეცხლიც და თანაც ხიდიცა.  
 როცა ხელმწიფე გაიგებს  
 აქ ვით მოსულხართ, რათაო,  
 დღეს გული ბროლი კრიალა  
 ექცევა ნასიბ ქვათაო.  
 წარბებს შეიხრის. მწყრალადა  
 არ გამოგიწვდის ხელსაო,  
 ისე მიყურებს, როგორც რომ  
 უდაბნოს გამზმარ ხესაო.  
 ნაძლევს დამიდევს: აღრიან  
 გამომიყვანონ გარედო,  
 ათასნაირად შემცვლიან,  
 მათრენენ ათას მხარედო.  
 ხან ვარდად მშლიან, ვაზის რქად,  
 ხან წითელ ბროწყულადო,  
 ფორთოხლის გულად, ყაყაჩოს  
 ცქრიალა ძოწეულადო.  
 ფარშავანგსა თუ იაღონს  
 ნახავ ჩემს სახით წინაო,  
 ხან ნიაღვარი ვიქნები,  
 ხანაც მზის ოქროს წვიმაო.  
 საქმეც ის არის, ყოველთვის  
 მიცნო, სად ვიმალებიო,  
 მზესთან რომ ცელქად ვკისკისებ,  
 შენს წინ კი ვინაზებიო.

თუ რომ მომავნებ, ხელს მახლებ,  
 გარდავიშლები ხელადო,  
 გულის თქმა აყვავილდება  
 ჩვენი სურვილის ველადო.  
 მაგრამ არ ჰკმარა: სულ ბოლოს  
 მოგიტანებენ თასსაო,  
 ზეთით საესეა, უნდა ის  
 აჭხილო ალვის თავსაო.  
 თუ რომ წინწყარი დაღვარე,  
 მშვიდობით მაშინ ყველაო,  
 მამაც, სასახლის მცველები  
 მოვლენ ვით ტურა მელაო. —  
 დაფიქრდა მწარედ მეფის ძე,  
 სტირის, გულსა იაღებსა,  
 მაგრამ ასული კოცნითა  
 ამოუშრაღლებს თვალებსა.  
 — ნუ სტირი, მეც ზომ მიყვარხარ,  
 მე მოგცემ ფარს და ხმალსაო,  
 უყურე აღმოსავლეთით  
 ციმციმა ცვარის აღსაო,  
 რომელზედაც კი შენიშნო,  
 შეეხე, აეცისკრდებიო,  
 აი, ბეჭედიც! ნუ ნაღვლობ,  
 შენი ვარ, შენთვის ვკვდებიო.  
 ბეჭდის თვალს როცა გაჰხედაე,  
 მზის სხივად გადმოედნებიო,  
 თმის ბეწვიც აჰა, ეს დასწვი,  
 მის კვამლში გამოვჩნდებიო.  
 ბეჭედს რომ თასში ჩააგდებ,  
 გაიყინება სწრაფადა,  
 ალვის ხეზედა ასვლის დროს.  
 თუ გსურს, იხმარე ფარადა.  
 ახვალ, ჩამოხვალ, მამასაც  
 გაეხარდება გულითა.

შენც აღარ დაიქანცები,  
 შევბედთან სიარულითა.—  
 კვლავ დაჰკოცნიან ერთმანეთს,  
 არ უყურებენ ცისკარსა,  
 რომ ცეცხლის რაში ცეცხლის ეტლს  
 მოაფრენს, როგორც ცის ვარდსა.  
 როცა შეჰნიშნეს, იწყინეს,  
 ვაჟმა შესძახა:—კმარაო,  
 ეტლს რომ მიაფრენ, ვიღასთვის?  
 სად, ვინ რა დააბარაო!  
 სატრფო აქა მყავს, შიკრიკი  
 აღარ გეჭირია ფარადო,  
 უსტარს თვითვე ვწერთ, ერთი ვართ,  
 ამიერიდან მარადო,  
 მზევ, შეაჩერე რაშები,  
 ვარდნარი ცეცხლის ხელითო,  
 ჰხედავ, რა ზეიმს იხდიან  
 ფრინველნი დაბლა ველითო.  
 აჰ, რა კარგია ამ დროსა  
 ნარნარი სიზმრით ძილიო,  
 შეჩერდი, მზეო, გულის პირს  
 გეხსნება ცეცხლის ლილიო.  
 ნეტავ, რა შეგემატება,  
 რომ გვიწყვეტ გრძნობათ ბადესო,  
 ეტლით რად გვისრეს, რაც ტრფობის  
 სხივებმა დაგვიბადესო!—  
 მაგრამ არ იქნა, განთიადს  
 აფრა აეშვა ვარდისა,  
 მთვრალს, თვალთმაქცს, გიჟმაეს არ ჰქონდა  
 კრძალვა ქალ-ვაჟის დარდისა.

დ. კასრაძე.

(დასასრული იქნება).





## ძმა ძმისთვის შავი ღღისთვის.



შვენიერი შემოდგომის დილა იყო. მზეს, თითქოს უკანასკნელად სურდა თავისი ძალა გამოეჩინა. თბილ ქვეყნებში წასასვლელად შეკრებილი ფრინველები გუნდ-გუნდად დასტრიალებდნენ ძველ კოშკებს და ეკლესიის სამრეკლოებს, თითქოს ესალმებოდნენ სამშობლო მხარეს.

ბავშვები ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ სასწავლებლისკენ, მაგრამ დღეს გაკვეთილები არავის არ აგონდებოდა.

— ბიჭო, დღეს წარმოდგენაზე არ მიხვალ? — უძახოდა ნიკო მეორე კლასის მოწაფეს — კოტეს.

— მაშა, ბიჭო! დღეს დილითვე მომცა მამამ მანეთიანი: „ბილეთი იყიდო“ . ჩემი და კატოც მოდის, ჩვენებთან პალიკოც!.

— ჰეი, გოგი, მიედივართ საღამოზე კლუბში! — გამოსძახა თავის ამხანაგს მეოთხე კლასის გიმნაზიელმა.

— მაშ არა და, შინ დაერჩები!

— მერე, რა პიესასა სდგამენ და! „დედა და შვილი“, ილია ჭავჭავაძისა, ხუმრობა ხომ არ არის, — გამოეხმაურა მათ მესამე კლასის მოწაფე სასულიერო სასწავლებლისა.

აღელვებული იყო აგრეთვე კობახიანთ თამრიკო.

— აბა, დღეს ტყუილი შრომა არ იქნება ჩენი მეცადინეობა! სულ ერთია — შე ვერც ალგებრისას გავიგებ რასმეს, და ვერც ისტორიისას, — გამოუცხადა მან თავის ძმას გიორგის.

— ეგ რატომო? — გაკვირვებით შეჰხედა გიორგიმ.

— როგორ თუ რატომ!? განა შეიძლება, იმ დღეს, როცა თეატრში ვაპირებთ წასვლას, ალგებრაზე ვიფიქრო!

— მაშ შენ რომ თბილისში სცხოვრობდე, მარტო დიდ მარხვაში ივლიდი სასწავლებელში, რადგანაც მაშინ წარმოდგენები, კონცერტები და სხვა-და-სხვა გასართობები აკრძალულია, — დაცინვით მიუგო გიორგიმ.

— თუ კი მიშო წავიდა დღეს გიმნაზიაში, შენ რაღა წითელი კოქი ხარ, რომ არ ისწავლო, — დაეკითხა დას ექვსი წლის შიტო.

— გენაცვალე, გიორგი, ნუ ვისწავლით დღეს! — კიდევ შეეცადა თხოვნას თამრიკო.

— ყური მიგდე, თამრო, თუ არ ვიმეცადინებთ, ვერც წარმოდგენაზე წახვალ, — მტკიცედ უთხრა გიორგიმ. — როგორც გინდა — ისე მოიქეცი!

გიორგი გავიდა საკლასო ოთახში. თამრიკომ დედას შეხედა: „იქნება ამან მაინც დამიკიროს მხარით“, მაგრამ დედა ჩაის ჭურჭლის ალაგებაში იყო გართული, და თამრიკოს თითქოს ვერ ამჩნევდა.

რა ნახა თამრიკომ, რომ არავინ გამოესარჩლა, წარბები მრისხანედ შეიკრა და შეაღო საკლასო ოთახის კარი.

გიორგიმ რასაკვირველია ყურადღება არ მიაქცია თავის დის მრისხანებას, და ჩვეულებისამებრ შეუდგა გაკვეთილს. ძლიერ ძნელი იყო დღეს გიორგისთვის დინჯად დასრულება გაკვეთილის რადგანაც თამრიკო წარმოდგენის მოლოდინში, და კიდევ ჯიუტობის გამო მეტად უყურადღებო იყო. გიორგის ორჯელ-სამჯერ უხდებოდა თითო ფორმულის მტკიცება, მაგრამ მისთვის მხოლოდ საჭირო იყო, რომ დას ესწავლა რამე.

გიორგი რუსეთში უმაღლეს სასწავლებლის დახურვის გამო დაბრუნებულიყო სამშობლოში.

მისი უმცროსი და-ძმა ჯერ ისევ სახლში სწავლობდნენ, რადგანაც მათი მამა იმ შეხედულებისა იყო, რომ ბავშვის ნაადრევი მიბარება სასწავლებელში არ არის სასურველი.

გიორგის მომდევნო შვილი მიშო მარტო წელს მიებარებინათ სასწავლებელში მეექვსე კლასში. ისიც გიორგის ბრალი იყო, თორემ არც იმის მოშორებას აპირებდა ბ-ნი კობტაძე.

ის კი უნდა ვსთქვათ, რომ ბავშვებს არ აკლდათ არც ცოდნა, არც გონების გახსნა; პირიქით ისინი მუდამ სამაგალითოდ აბარებდნენ გამოცდებს. მიშო სულ ოთხი თვე იყო გიმნაზიაში და უკვე საუკეთესო მოწაფედ ითვლებოდა.

ყოველივე ეს, რასაკვირველია, ახარებდა გიორგის, მხოლოდ მას არ მოსწონდა თამროს ხასიათი. მისმა ფუქსავატობამ, ზარმაცობამ და ამასთან ჯიუტობამ არა-ერთხელ დააფიქრა გიორგი. იგი თავის ვალად სთვლიდა დის ხასიათის გასწორებას, და სწორედ ამითი აიხსნება, რომ მან არ დაუთმო დას, და კარგად თუ ცუდად, მაინც შეასრულებინა თავისი მოვალეობა.

ის იყო ათავებდა გიორგი უკანასკნელ მაგალითის განმარტებას, როცა გაისმა ზარის წკრიალი, და მოსამსახურე ბიჭმა გაირბინა კარის გასაღებად.

— გიორგი, გენაცვალე, გვეყოფა; აგერ მიშოც მოვიდა! — წამოიძახა თამრომ.

გიორგიმ ამოიღო საათი, დაჰხედა და წყნარად წამოდგა.

— შეგიძლიან წახვიდე, მხოლოდ იცოდე, რომ დღევანდელი ვაკეთილით მე ძლიერ უკმაყოფ... მაგრამ თამრიკომ აღარ გაათავებინა, მოეხვია ყელზე და ტუჩებზე ხელი მიათარა.

— მაპატიე, გიორგი, შენ რომ იცოდე—რა ძნელია მაშინ სწავლა, როცა თავში გიტრიალებს სულ სხვა აზრები... გულს გიძგერებს სულ სხვა სურვილი... ხვალ კი, ხვალ მე ისევ ის თამრო ვიქნები, როგორც ყოველთვის. ხომ აღარ ჯავრობ, გიორგი!— ცდილობდა გაემხიარულებინა ძმა.

— ხვალ კიდევ წარმოდგენით იქნები ალტაცებული, და



უფრო ვერას გაიგებ, — დაცინებით უთხრა გიორგიმ, — შეუბღმინ და გავიდა ოთახიდან.

სადილის შემდეგ, რომელმაც ძლიერ მზიარულად ჩაიარა, რადგანაც თამრო და მიშო არ ჩერდებოდნენ და სულ მომავალ წარმოდგენაზე ლაპარაკობდნენ, მამამ ჰკითხა შეილება:—

— აბა, ბავშვებო, ფული ვის უნდა სალამოზე თეატრში წასასვლელად!

— მე, მამიკო! — წამოიძახა თამრიკომ, და გაცქრიალდა მამისაკენ, რომელმაც მას ახალი სამ-მანეთიანი დაანახვა. პატარა შიტო თვითონ დათარეშობდა მამის ჯიბეში და თან იძახოდა:—

— მე კიდევ დედა ხვალ პროექტორში წამიყვანს! არა, დედლილო?

— ჰო, გენაცვალე, ოღონდ დღეს ჰკვიანად მოიქეცი, და ადრე დაიძინე, — უპასუხა დედამ.

— შენ, ყმაწვილო? — შეეკითხა ბ-ნი კობტაძე მიშოს.

— გმადლობთ, მე მაქვს კიდევ ხუთმანეთიანი, სადღეისოდ მეყოფა, და ორშაბათს კი ვიცი კიდევ მომცემ ერთი კვირის საკმარს, — მზიარულად უპასუხა მიშომ.

— დედიკო, თმებს ხომ დამიხვევ! — ცმუკავდა თამრო.

— არა, შეილო, საცეკვაო სალამო ხომ არ არის, რომ კულულები გაგიკეთო; გარდა ამისა შენ უკვე დიდი ქალი ხარ, — მიუგო დედამ.

— დიდი ქალი ხარ, დიდი... — ტუჩი აიბზუა თამრიკომ.

— მიშო! — დაუძახა გიორგიმ. — ჩემს მაგიდაზე წერილი ძვეს, გაიარე და ფოსტაში ჩააბარე.

— განა მოსამსახურე ვერ წაიღებს, მიშომ რომ არ იაროს!? — შეეკითხა ცოტა არ იყოს ამაყად თამრო.

— ვითომ მე რომ წავიღო-რა მოხდება? — გამოცხმაურა დას მიშო.

— ისა, რომ მიღებული არ არის, რომ ოჯახის შეილება-მა ფოსტაში და დუქნებში იარონ. მაგისტრის მოსამსახურე ჰყავთ.

— თამრო, მოჰყევ ისევ სისულელეს! — მკაცრად უთხრა გიორგიმ.

— არა, მაინც ვერ მოისვენებს, თუ თითო დარიგება არ მომცა დღეში, — სიცილით უთხრა მიშომ. — ვაი თქვენი ბრალი, რომ მაგის ხელში რჩებით, თორემ მე ფოსტაში მივდივარ!

ის იყო ჩაბარა მიშომ წერილი და გამოტრიალდა ფოსტის ყუთიდან, როცა მას წინ გაუარა ამხანაგმა ალექსიმ, და თითქოს ვერც კი შეამჩნია მიშო.

მიშომ ხელი დაუჭირა.

— ჰეი, ბიჭოს, როდინდელს აქეთ ვერ ვეცნობთ ჩვენ ერთმანეთს!? — სიცილით შეეკითხა იგი ამხანაგს.

— ეჰ, მიშო, ჩემს ალვას რომ იყო, იქნება დედაშენიც ვერ გეცნო, არამც...

— რა იყო, ალექსი, რითი ხარ შეწუხებული, უბედურება ხომ არ დაგატყდა რა? — აღელვებით გააწყვეტინა მიშომ.

— არა მაშ დიდმა ბედნიერებამ დამაფიქრა ასე! — მწარე ღიმილით მიუგო ალექსიმ.

— კარგი, თუ ძმა ხარ, მითხარი, რა ამბავია შენს თავს? — შეეკითხა მიშო, გაუყარა ხელი-ხელს, და ნელის ნაბიჯით წავიდნენ ორივენი სახლისკენ.

ალექსი იქვე კოხტაძიანთ მახლობლად იდგა. ბავშვები სასწავლებლის გარეშეც ხშირად იყვნენ ერთად.

გზაში მიშომ გაიგო, რომ ალექსის მამა, რომელიც მწერლობდა პოლიციაში, ამ დაწესებულების გაუქმების გამო დათხოვნილი იყო და ეს თვე ნახევარი ლოგინად ჩავარდნილიყო, ისე ემოქმედნა მან ადგილის დაკარგვას.

— დიდ გაქირვებაშია მთელი ჩვენი ოჯახი. ძალიან საკირო იყო მამისთვის წამალი და ექიმი. ექიმი მეორედ აღარ მოვიდა, რადგანაც ვასამრჯელო ცოტა მიიღო... დაღონებათ გაათავა ალექსიმ.

— მერე, ბიჭო, რატომ არავის არ გვითხარი, განა ჩვენ ამხანაგები არ ვიყავით!...

— ეჰ, მიშო, შენ არ იცი რა ძნელია დახმარების თხოვნა, მაშინ როცა იცი, რომ სამაგიეროს ვერაფრით ვერ გადაუხდის, — გააწყვეტინა ალექსიმ.

— სამაგიერო, სამაგიერო, დაგიტინია შენ, თითქოს ვინ იცის, თუ რა დიდ სამსახურს გაგიწევთ!—აღელვებით შეაჩერა მიშომ.

— ახლანდელ დროში სულ უბრალო დახმარებაც დიდი სამსახურია, — დინჯად მიუგო ალექსიმ. — მაგრამ მეც გავაბილაპარაკე, თითქოს მოცლილი ვიყო.

ალექსის უნდოდა გამოშვებობა, მაგრამ მიშომ შეაჩერა.

— ყური მიგდე, ალექსი, — მხარზე ხელი დაადო და უთხრა მიშომ: — ჩვენ ძველი მეგობრები ვართ, და ამიტომ სირცხვილია შენთვის, რომ ასე მერიდები. ალექსი, თუ ძმა ხარ, მიიღე ჩემგან ეს მკირედი დახმარება. — უთხრა მიშომ და გაუწოდა ხუთმანეთიანი. — გეფიცები ამხანაგობას, რომ ახლა მეტი არა მაქვს, და შემდეგში კი...

ალექსი ყოყმანობდა.

არა, მიშო, მე ვიცი, რომ ეგ შენი საკუთარი ფული არ არის, და ვერც მალე დაგიბრუნებ, — ხელის ჩაქნევით სთქვა ალექსიმ.

მიშო მთლად აინთრა.

— დამიბრუნებ, არა, ახლა პროცენტები იანგარიშე! — წამოიძახა მან, ჩაუღო ხელში ფული და ჩქარი ნაბიჯით გაშორდა ამხანაგს.

მიშო მეტად აღელვებული დაბრუნდა შინ. შევიდა ოთახში, და მთელი საღამო რალაცა წიგნს კითხულობდა.

მოვიდა კლუბში წასვლის დროც. თამრიკომ მოცინარის სახით შეალო მიშოს ოთახის კარი, და ძლიერ გაუკვირდა, რომ დაინახა ძმა მაგიდასთან მჯდომი.

— მიშიკო, შენ რატომ არ ემზადები?

მიშომ თავი მაღლა აიღო, შეჰხედა დას და დინჯად უპასუხა:

— იმიტომ, რომ მე თეატრში არ მოვდივარ.

— როგორ თუ არ მოდიხარ? — გაიკვირვა თამრომ.

— გტკივა რამე?... ან იქნება მაროკომ ხალათი არ გაგიუთოა? ახლავე, გენაცვალე, შენ ნუ ინადლეებ, ხალათი წუთში მხად იქნება! და უნდოდა გავარდნილიყო ოთახიდან.

მიწომ ბელი დაუქირა.

— არა, ხალათიც მზად არის, და არც არა მტკივა რა, მაგრამ მაინც არ მივდივარ.

— რატომ, გენაცვალე, მითხარი, მიშიკო?!— ეხვეწებოდა თამრო.

— იმიტომ, რომ ფული არ მაქვს. — მოკლედ მიუგო მიწომ.

— როგორ თუ ფული არ მაქვს? — გაიკვირვა დამ. — აკი ხუთი მანეთი მაქვსო, — შენ თვითონ არ უთხარი მამას, — აღარ ეშვებოდა თამრო.

— მქონდა, და აღარა მაქვს.

— რა უყავი? დაქარგე?

— ამხანაგს მივეცი, — სთქვა მიწომ და წიგნი დაჰკეცა.

— როგორ? შენი ვილაცა ამხანაგი უნდა წავიდეს თეატრში, და შენ კი შინ დარჩე?! რა კარგი ამხანაგობაა და! — წამოიძახა თამრომ.

— შენ, ჩემო თამრო, გგონია რომ ფული ყველას კამფეტებისთვის და თეატრისთვის უნდა; არა, ჩემს ამხანაგს მამა ჰყავს ავად, რომელსაც ესაქიროება ფული წამლისთვის, და შენ კი!...

— მაშინ წავალ და მამას ვეტყვი ყოველივეს, და ის მაშინვე მოგცემს ბილეთისათვის ფულს.

მიწომ კიდევ შეაჩერა.

— არა, თამრო, მე არ მინდა ამხანაგს დავეხმარო მამის ჯიბიდან.

— ეგ რაღა ამბავია, განა არ იცი, რომ გაეხარდება მამას, როცა გაიგებს შენს საქციელს? — გაოცდა უფრო თამრო.

— ვიცი, რომ ეამება, მაგრამ ალექსის არ უნდოდა ჩემგან ფულის მიღება, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მე ჩემი საკუთარი ფული არა მაქვს. მან დამანახვა, რომ მე ნება არ მაქვს დაუდევრად ვფლანგო მამის ფული...

— როგორ, განა ხანდისხან თეატრში წასვლა, ამხანაგებთან ღროს გატარება, ეს ფულის ფლანგვაა? — გაკვირვებით დაატყერდა თამრო.

— შენ, თამრო, ჯერ ბავშვი ხარ, ბევრი რამე არ გეცნობა.

— არა, მიშო, უშენოდ წასვლა როგორ იქნება. თუ არ გინდა მამამ გაიგოს, დედას, გიორგის ვეტყვი!

— აი, მე ახლა იმ ამხანაგთან წავალ; მის მამას უნდა დაეხედო, და ძლიერ გვიან დაებრუნდები; მაშინ ვისაც გნებავდეს — იმას უამბე შენი ძმის გულკეთილობა, — და ცინვით უპასუხა მიშომ, აილო ქუდი და საჩქაროდ გავიდა ოთახიდან.

თამროს არაფერი არ უთქვამს თავიანთებისათვის, და ეს ამბავი და-ძმას შუა საიდუმლოდ დარჩა.

მიშო მართლაც არ წასულა იმ დღით თეატრში, მაგრამ არც ალაქისთან ყოფილა. მან ინახულა ყველა თავისი შეძლებული ამხანაგები, უამბო მათ ალექსის გაქვირება, და ერთად გადასწყვიტეს დახმარება აღმოეჩინათ ამხანაგისთვის. ბევრი ფიქრის შემდეგ, თუ როგორ გადაეცათ ფული ალექსისთვის, რომ მისთვის უარის თქმა შეუძლებელი გამხდარიყო, ერთხმად დაადგინეს გიმნაზიის დარაჯის შეილის ხელით გაგზავნათ. პატარა ბიჭს უნდა მიეტანა, ვისთვისმე ალექსის ოჯახში ჩაებარებინა და მაშინვე უკან უნდა გამოქცეულიყო.

სამშაბათ დილით კონვერტი უკვე მზად იყო. ზედ ალექსის მამის მისამართი ეწერა. შიგ შეგროვილი თოთხმეტი თუმანი ჩასდეს, და თან ჩააყოლეს პატარა ქალღიმი წარწერით: „ახალგაზრდა მეგობრებისაგან“. ბიჭს გადასცეს და უთხრეს, — აბა გაფრინდით. რაღა თქმა უნდა, რომ მიშომ მთელი თავის კვირის სახარჯო ფული ამ კონვერტში ჩასდო. დიტო კალამაძემ კიდევ აღუთქვა: ახლა ფული არა მაქვს, მაგრამ ძის ვსთხოვ, და ალექსის მამას სამსახურში მივალეზინებო.

როდესაც ავადმყოფ ალექსის მამას შეუტანეს კონვერტი, მან აკანკალებული ხელებით გახია, და აღელვებით წამოიძახა:

— ღმერთო, თოთხმეტი თუმანი! ვისგან უნდა იყოს? იქნება ძველმა ნაცნობებმა შეიტყვეს ჩემი უსამსახუროდ დარჩენა და მოინდომეს ჩემი დახმარება? მაგრავ აი პატარა ბარათიც „ახალგაზრდა მეგობრებისაგან“; ვერა გამიგია რა! — უკვირდა საწყალ ავადმყოფს.

მოვიდა თუ არა ალექსი სახლში, დედამ მაშინვე თავისი სიხარული გაუზიარა. ალექსიმ გადაავლო თვალი ბარათს და მაშინვე მიხვდა, რაშია ც იყო საქმე.

— მაგილო, ეს ჩემი ამხანაგებისაგან არის! — აღელვებით წამოიძახა მან. — გუშინ მიწო კობტაძე ვნახე, და მან ყოველივე მათქმევინა. ეს სწორედ იმის საქმეა...

ალექსის მამამ სასოებით ხელეები მალღა აღაპყრო.

— ღმერთმა მოჰხედოს, შეილო, შენს ამხანაგებს, და შენ კი, ჩემო ბიჭო, მოგცეს საშუალება და შემთხვევა სამაგიერო გადაუხადო.

გავიდა დრო, და ალექსის ოჯახს ისევ დაუბრუნდა გაუქირვებელი ცხოვრება. ალექსის მამა კვლავ ემსახურებოდა, მხოლოდ პოლიციაში კი არა, არამედ დიტო კალამაძის ბიძასთან. ალექსი ბედნიერი იყო. სულ რამდენიმე დღე კიდევ, და მოწაფეებს დაითხოვენ საზაფხულოდ. დღეს კი მოწაფეები ვაფთა გიმნაზიის მეექვსე კლასისა გამოსულიყვნენ სასწავლებლის ეზოში ბურთის სათამაშოდ.

ეზო ფართე იყო, გალავან-შემოვლებული. თვით სასწავლებლის წინ რამდენიმე ვარდის ძირი იყო დარგული, და ყვავილების ორიოდე კვალი მოსჩანდა. დანარჩენი ეზო ცარიელი იყო. მხოლოდ ეზოს ბოლოში, ხის ქვეშ, ძროხა ება. ეს ძროხა დირექტორს ეკუთვნოდა, და სულ რამდენიმე დღე იყო, რაც სოფლიდან ჩამოეყვანათ. ძროხა ფრთხალი იყო, ამიტომ ბავშვების ხმაურობა ძლიერ აღეზიანებდა.

ბავშვები ორ ჯგუფად გაიყვნენ, და გაიმართა მათი საყვარელი ბურთაობა. თამაშობა კარგა ხანს წესიერად მიდიოდა, მაგრამ უცებ ერთმა მოწაფემ ბურთის ძლიერ გაჭკრა ფეხი. მიწო, რომელიც მოპირდაპირე ჯგუფში იყო, გაედევნა მას; სხვა ამხანაგებმაც სცადეს გაქცევა, მაგრამ მიწომ ყველას გაუსწრო. ის—ის იყო მიუახლოვდა ბურთს, როცა მას, და მასთან ყველა მოწაფეებს საშინელი ღრიალი შემოესმათ.

მოიხედა მიწომ, და დაინახა, რომ გალომებული ძროხა მარდად ტრიალებდა ხის გარშემო, და თან მძლავრად აქეთ-

იქით აწყდებოდა; ეტყობოდა თოკის გაწყვეტას ლამაზად. მიწის ქვეშ  
 შო მარდად მიუახლოვდა ბურთს, და თუმცა თამაშობის კანონით აკრძალული იყო, დასწვდა ბურთს, და გამოიქცა უკან. სწორედ ამ დროს გაისმა კიდევ შესაზარავი ღრიალი. ძროხამ ერთი კიდევ გაიწია, გასწყვიტა თოკი და დაედევნა მიშოს.

სწორედ რომ საშიში იყო ამ წუთში პირუტყვი: თვალეზი ჩასისხლიანებული ჰქონდა, უკანა ფეხებს მძლავრად სცემდა მიწას და პირიდან აქაფებული დორბლი სდიოდა.

— ძროხა დაფრთხა! ძროხა!... — გაისმა ჰაერში, და შეშინებული მოწაფეები აცვიდნენ გიმნაზიის აივანზე.

მიშომ რა ნახა შეშინებული ამხანაგები — ფეხს მოუჩქარა. ძროხაც უკან არ რჩებოდა და ფეხ-და-ფეხ მოსდევდა. სულ რამდენიმე აღლი-ლა იყო მათ შუა, როდესაც მოწაფეებმა შესძახეს:

— აღექსი, აღექსი, გაჩერდი!...

მაგრამ გვიან-ლა იყო. აღექსიმ მარდად სტაცა იქვე მოაჯირის სვეტზე მიმაგრებულ მოწაფეთა წითელ დროშას, და კატასავით გადახტა აივნიდან.

— შე უნდა ვიხსნა მიშო! უნდა ვიხსნა! — უტრიალებდა გულად ყმაწვილს თავში.

აი ერთი ორი ნაბიჯი კიდევ, და ძროხა დაეტაკება მიშოს, ააგებს რქებზე და მაშინ... აი პირუტყვემა დაჰხარა თავი, ერთი წამიც და... მაგრამ სწორედ ამ დროს აღექსი მიიჭრა მიშასთან, მაგრად ჰკრა მის ხელი და შორს გვერდზე გადაავლო. თვითონ კი აუფრიალა დროშა ძროხას თვალების წინ.

პირუტყვი ერთ წამს შესდგა, მთლად აკანკალდა, თვალეზი უფრო აერია, და უცებ რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაეკანა წინ.

მაგრამ არც თუ აღექსი გაუჩერდა. იგი მარდად მირბოდა წინ და თან დროშას აფრიალებდა... ახლა აღექსის დაადგა გასაჭირი. ცოტა კიდევ, და ძროხა ამას ააგებს რქებზე.

— აქეთ, აქეთ, აღექსი, აივნისაკენ! — უძახიან მას ამხანაგები.

— დროშა დაავდე! — უყვირის მას ზედამხედველი, რომე-

ლიც მხოლოდ ახლა გამოვიდა აივანზე. მაგრამ ესმის მათი ძახილი. იგი მიჰქრის წინ, და სწორედ იმ წუთში, როცა ძროხა უნდა დასჯახებოდა, ისკუპა, მოექცა ზედ გალავანს და იქით გადახტა.

ვახელებული პირუტყვი დაეჯახა შუბლით გალავანს და იქვე ჩაიკეცა.

აივანზე სიხარულის ხმაურობა ასტყდა. ყველა ულოცავდა მიშოს გადარჩენას. ალექსი ჯერ არა სჩანდა; მაგრამ აი ისიც გამოჩნდა აივნის თავში.

მართალია მღელვარებისაგან ფერმკრთალი იყო, მაგრამ თვალები კმაყოფილებით უცინოდა. მიშო აჩქარებული ნაბიჯით მიუახლოვდა და, მადლობის ნიშნად, მაგრად ხელი დაუჭირა.

— გმადლობ, ალექსი, გმადლობ! შე ამ დღეს არასოდეს არ დავივიწყებ! შენ...

— ნება, ნება, ძმობილო, ნუ სჩქარობ, მოიგონე რა იყო ექვსი თვის წინედ! — შეაჩერა ღიმილით ალექსიმ.

აღელვებული მიშო გადაეხვია ამხანაგს...

## 6. ყორჩიბაში.





## სიმღერა.



იშ! გაზაფხული მოფრინავს,  
თოვლს აცლის მთა-ველს, გორაკებს,  
მალე, სულ მალე მთის წყარო  
ჩაიმღერს, ჩაირაკრავებს;

აზურმუხტდება მთა-ბარი,  
მინდორი, ველი, კორდები,  
ვიკოტრიალებ მწვანეზე,  
გადავგორდ-გადმოვგორდები;

დილდილაობით დამატკობს  
ფრინველთა ჟრიამულია,  
მწვანე ბალახი ცვარ-ნამით  
მოყრილი, დანამულია;

ყვავილებს ბროლის ცრემლებით  
ქოჩორი დაუძიმდება,  
მკვირცხლი დილის მზის სხივები  
მათ ტუჩზე აციმციმდება;

ცელქი ნიავი ფრთებს გაშლის,  
ჩამოგვიქროლებს ნელადა,  
ნორჩ ფოთლებს ტანში დაურბენს  
თრთოლვა და ჟრუანტელადა;

შორით გვეწვევა მერცხალი,  
 ქერში დაიწყებს ელურტულსა;  
 გუგული „თესე“-ს დაგვძახებს,  
 ვარდი ამღერებს ბულბულსა;

გადაიქცევა სამშობლო  
 აყვავილებულ ბაღადა,  
 ცა—გამქვირვალე ლაქვარდით  
 თავზე დაგვედგმის თაღადა.

მზე, მთვარე, ვარსკვლავთ კრებული  
 სხივებს დაგვაფრქვევს ლაღადა:  
 ...მაგრამ ეს ერთი რამ მიკვირს,  
 გულს მაწევს სევდის დაღადა:  
 ბუნება ჰყვავის თანხმობით,  
 კაცი კაცსა მტრობს რაღადა?..

ი. სიხარულიძე






# უცნაური ყმაწვილი

თავი VI

უცნაურ ყმაწვილს კვლავ ემატება მხნეობა.



ონაღლის კარავი გადაქიმული იყო ბაღში, მშვენიერ გორაკის ფერდობზე. მთელი დღის განმავლობაში მზის სხივები დასცქეროდნენ და ეალერსებოდნენ. ირგვლივ დაჰქროდა წელი და გრილი წივი, რომელიც კარავშიაც შესრილდებოდა ხოლომე და თან შეჰქონდა ნაზი სურნელება კარვის გარშემო საგანგებოთ გაკეთებულ კვლებში დარგულ ყვავილებისა. კარვის ორივე გვერდი ცოტათი აწეული იყო, რომ წიავს შესძლებოდა შიგნაწარდი და დონაღლსაც ყვავილები დაენახა.

მაგრამ პატარა ბიჭი ყველაფერს გულგრილად უყურებდა. მას შემდეგ, რაც ლოგინში ჩააწვინეს, საშინლად გახდა, დასუსტდა და ხანდახან, როდესაც სისუსტეს და დაღლილობას გრძნობდა, ვერ ითმენდა და ტიროდა, თუმცა დედის ხათრით სცდილობდა მოთმინებით და წყნარად გადაეტანა ავად-

მყოფობა. დედა ისევ სუსტი და გამხდარი დაბრუნდა მასთან და ბავშვა იცოდა, რომ მისი ტანჯვა დედას მეტად შეაწუხებდა, თუმცა სცდილობდა შვილისთვის არ შეემწწმეინებინა და ნაზი ღმილით და ტკბილი ალერსით შეემსუბუქებინა მისთვის ტანჯვა.

„ვაცილებით უკეთესი იქნებოდა, — ფიქრობდა დონალდი, — ჩემი საწოლი რომ ქვევით, ლობესთან დაედგათ. მე დარწმუნებული ვარ, — ჩემი საიდუმლო უცნაური ყმაწვილი რომ მენახა, უქვევლად გამართობდა და დედაც ცოტას დაისვენებდა. მე თითქმის კიდევ მინდა“... უცებ ტუჩები მაგრა მოკუმბა. ხომ შეუძლებელია, რომ ამ კარვის მაგიერ, იქ, ხშირ ტოტებთან დაფნის ხის ქვეშ ნაკადულთან დაუდგან სავარძელი და დააწვინონ. პატარა ბიჭმა მწარედ ამოიოხრა, როდესაც შოაგონდა ჩრდილიანი ხეები, მზიარული ნაკადული, რომელიც ისე ცელქად მისჩქრილებდა, ჩიტების ტკბილი და ნაზი გალობა, ფუტკრების შეუწყვეტელი ზუზუნი და უზარმაზარი კის გუმბათი, რომელიც თავის წარმატცი შენებით იზიდავდა ყმაწვილს და გორაზე არბენის სურვილს უღვიძებდა და კიდევ უფრო შორს, — ტყეში სირბილი ენატრებოდა.

დონალდი წყნარად, ძალიან წყნარად იწევა, რადგანაც თავს ძალას ატანდა, რომ არ ეტირნა. მხოლოდ ორი წვეთი ცრემლი, მარტო ორი წვეთი გადმოსცივდა თვალებიდან; ისიც მსწრაფლ მოიშორა და გადასწყვიტა არაფრის გულისათვის არ ეტირნა. მაგრამ თვალეზე მაინც რაღაც ბურუსი გადაჰკროდა, და სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ვერ მიმხედარიყო: მართლა ხედავს თუ არა რაღაცა საგანს, რომელიც ელვის სისწრაფით მიჰქროდა მალლა, მერე დაეშვებოდა ქვევით, გასაოცარი სისწრაფით დატრიალდებოდა და ისევ მალლა მიჰქროდა. ეს რამდენჯერმე განმეორდა, სინამ დონალდი მიხედებოდა, რაში იყო საქმე.

— ეს შენი ქუდია, ბიჭიკო, — მზიარულად შესძახა მან. — გამოდი! ეცი, რომ ჩემ საწოლქვეშა ხარ დამალული!

— კარგად მიხვდი, დონი, — გაისმა მზიარული პასუხი. — ხომ მოხერხებულად ვმუშაობდი ფეხებით?

— განა ქუდს ფეხებით ათამაშებდი?

— მაშ, ორთავ ფეხებით. მარჯვენა ფეხით ქუდს ზევით ვაგდებდი, მარცხენათი ვიჭერდი, მერე ისევ მარჯვენათი დაბლა ვსწევდი. მართლა ხომ ძალიან მოხერხებულად ვათამაშებდი?

— მართალია, მართალი, ძალიან ყოჩაღად თამაშობდი! — დამოწმა დონალდი. — მაგრამ ახლა შენი დანახვა მინდა. ამ ბალიშებიდან სულ ვერა გხედავ.

ყმაწვილი გამოძვრა, შეაგდო ქუდი მალლა და დაიჭირა ფეხით; მერე ფეხი მძლავრად გაიქნია უკან, ააგდო ქუდი მალლა და ისეთი სისწრაფით ჩაჯდა იქვე ძირს ხალიჩაზე, რომ ქუდი ზედ თავზე დაეხურა.

— აი ყოჩაღ! — შემოჰკრა ტაში დონალდმა. შემდეგ კი აღელვებით შესძახა: — ჩემო საყვარელო უცნაურო ყმაწვილო! — და გაუწოდა თავისი გამზდარი ხელები.

ყმაწვილი მსწრაფლ წამოხტა, სწვდა გამოწვდილ ხელებში და მძლავრად მოუჭირა ხელი ხელზე. დიდი და პატარა ბიჭი ღრმად ჩასტკეროდნენ ერთმანეთს თვალებში, მაგრამ სიტყვის თქმა კი ვერ მოეხერხებინათ, რომ გამოეთქვათ თავისი გრძნობა. უცნაური ყმაწვილი დამშვიდდა და სთქვა:

— რომ იცოდე, რა ხშირად ვგრძნობ მარტოდ თავს უშენოდ! დავიჯერო, რომ ამდენ ხანს სულ წევხარ?

— სულ. — მაგრამ ამ სიტყვაში სრულებით არ ისმოდა ჩივილი. ახლა, როდესაც მისი მეგობარი მასთან იყო, დონალდი თავის ავადმყოფობაზე ისე ლაპარაკობდა, თითქოს მასთან არავითარი დამოკიდებულობა არ ჰქონია. — მე გაცილებით უფრო ცუდად ვგრძნობდი თავს უშენოდ, — სთქვა მან. — რატომ არ მოდიოდნი? ჩემი კარავი ხომ ცოტათი შორს არის იმ ადგილიდან, სადაც ჩემი სავარძელი იდგა ხოლმე.

— არა, მე ამიტომ კი არ შემიწყვეტია შენთან სიარული. ხომ იცი — მე შენთან ყოფნა მიყვარს; ამ დღეების განმავლობაში კი მუდამ გეხვია ხალხი. ხომ მართალს ვამბობ? ექვში და...

ჰო, ექვში ყოველ დღე დადიოდა, ხან კი დღეში ორჯერაც. ჩემთან იყო მომვლელი ქალი, ზოგჯერ მამა და ყოველთვის კი, რასაკვირველია, დედა.



— ჰო, ვიცი, და სწორედ მითომ არ მოვდიოდი, შეგონა მე შენთვის საჭირო აღარ ვიყავი.

— შენ ჩემთვის საჭირო აღარ იყავი!? ამ ხნის განმავლობაში სულ იმას ვნატრობდი, რომ შენ მოსულიყავი.

— შენ ამას განგებ შეუბნები, — გაიცინა ყმაწვილმა, მაგრამ თვალეებში კი სიხარული უკრთოდა. — როგორც კი გავიგე, რომ მარტო დარჩი, მაშინვე შენკენ გამოვეშურე. მის შემდეგ შენ მხოლოდ დღეს დარჩი პირველად მარტო.

— მას აქეთ, რაც ასე ავად გავხდი, მხოლოდ ერთი კვირაა, რაც ამ კარავში ვწევარ. რამდენიმე დღე ძალიან ცუდათ ვიყავი, — კიდევ რომ მოსულიყავი, ვერ გიცნობდი. დედაც კი ვერ ვიცანი იმ დღეებში.

— ახლა, ჩემო პატარავ, უნდა მოიკრიბო. რაც ძალა და მოთმინება გაქვს, რომ ნელ-ნელა გამოკეთდე, არა?

— მართალია. ექიმმა მითხრა, რომ ჩემთვის აუცილებლად საჭიროა რაც შეიძლება მეტი სიმშვიდე და მოთმინება, ამასთანავე უნდა ვეცადო, რომ მტკივანი ფეხი რაც შეიძლება ნაკლებათ გავანძრიო. ასე წოლა არ არის ადვილი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ჩემთვის ისე ძნელი არ არის, როგორც იმისთვის.

— დედა შენისთვის?

— ჰო, ვიცი, რომ მთელი დღის განმავლობაში ძალიან იღლება, მაგრამ მე მაინც არ შშორდება და მაშინაც კი არ მიდის, როდესაც ექიმი თითქმის ძალათი მაშორებს.

— ახლა სად არის, ისვენებს?

— ეფიჭობ, რომ ისვენებს. მაგრამ შენ ხომ არ წახვალ, როცა ის მოვა?

— მე ცოტა უფრო ადრე წავალ, — უპასუხა ყმაწვილმა. — მას შემდეგ რაც ბაღში ვადმოგიყვანეს, ხშირად მოვდიოდი შენ კარავთან და ჩუმად ვუყურებდი დედაშენის სახეს; იმის სახის გამომეტყველებათზე უტყობილობდი, თუ როგორ გრძნობდი შენ თავს. დღეს დავინახე, როცა ის მიდიოდა შინ და შენსკენ გამოვწიე.



— დედა რომ აქ ყოფილიყო, არ მოხვიდოდით?

— არა.

მაშ შენა და დედას ერთად ვერას დროს ვერ გნახავთ?

— შეიძლება როდისმე გენახო, მხოლოდ ჯერ-ჯერობით კი არა, ჩემო კარგო. პატარა ხანს კიდევ ჩემზე არავის არათფერი უთხრა, დონ!

— კარგი, მხოლოდ ხშირად მოდი ჩემთან. ისე სასაცილოდ ისროდი ქულს ფეხებით, როდესაც ჩემ საწოლ ქვეშ იწექი.

— ჰო, ძალიან მარჯვე ფეხები მაქვს, სწორედ ესა შველოდა ბურთაობაში.

— ძალიან მინდა ვნახო, როგორ ბურთაობ, — სთქვა დონა-აღდმა საცოდავის ხმით. — როგორ გგონია, შეიძლება ისე მოვჩე, რომ...

ემაწვილი მსწრაფლ ფეხზე წამოიჭრა.

— როგორა მგონია? მე დანამდვილებით ვიცი, რომ შენ მორჩები და ნახავ ათას სხვა ბიჭებს, რომლებიც ჩემზე გაცილებით უკეთესად თამაშობენ. მაგრამ არა მგონია კი, რომ ჩემი თამაშობა ნახო. სანამ მე სასწავლებელში დავებრუნდებოდე, მგონია 90 წლის მოხუცი გავხდე. მაშინ კი, დარწმუნებული ვარ, ჩემი მეგობრები ძალას არ დამატანენ, რომ იმათ თამაშობაში მივიღო მონაწილეობა. მაშინ ხომ უკვე სათვალეებიანი, უკბილო და ცანცარა ბებერი ვიქნები.


ემაწვილი გაჯავრებული ბოლთასა სცემდა კარავში. ბოლოს გაჯავრება მწარე სიცილად გადაექცა.

— ყურადღებას ნუ მაქცევ, — სთქვა მან. — მხოლოდ ერთი რამ მითხარი: გავიგონია როდისმე, რომ შამა შეიღოს ისე სასტიკად მოპყრობოდეს, როგორც მე მამაჩემი მეპყრობა?

— გამიგონია, — გაისმა მოულოდნელი პასუხი, — ექიმ ბურჩაღს ჰყავს ვაფიშვილი, რომელსაც ის ძალიან მკაცრად ეპყრობა.

ემაწვილი განცვიფრებით უყურებდა დონაღდს.

— ექიმ ბურჩაღის ვაფიშვილი? განა რა იცი იმის შესა-



ქართული  
ლიტერატურის  
მემორიალი

ხებ?—ნელა ჰკითხა მან და თვალეში მღელვარება დაეცვა.

— მე ბევრი არა ვიცი—რა, —სთქვა გულგრილად დონალდმა, რომელიც ვერ ამჩნევდა ყმაწვილს მღელვარებას. — დედას ეგონა, რომ მე მას ვიცნობდი და რომ ის ჩემთან დადიოდა. მე დედას მხოლოდ ვუთხარი, რომ ჩემთან დადის ერთი ყმაწვილი, რომლის სახელს ვერ ვიტყვი, რადგანაც მე თვითონ არ ვიცი მისი სახელი და გვარი. ისიც კი არ მოთქვამს, უცნაურ ყმაწვილს რომ გეძახი.

— დიდად მოხარული ვარ, — წაიჭურჭულა ყმაწვილმა.

— მართალია: მე ხომ სრულებით არ ვიცი შენი ნამდვილი სახელი, — განაგრძო ოხვრით დონალდმა.

ყმაწვილი მიხვდა, რომ დონალდს ძალიან სურდა მისი სახელის გაგება, მაგრამ ჯერჯერობით არ უნდოდა თავის ვინაობის გამომჟღავნება.

— რა გაგიგონია ექიმ ბურჩადის შვილზე? — ჰკითხა მან.

სასწავლებელში მას რალაც შემთხვევია. ბევრს არა სჯერა, რომ მას ბრალი უდევს ამ საქმეში, მაგრამ ექიმმა მაინც გამოიყვანა სასწავლებლიდან, გამოგზავნა აქ, ამ სოფელში, და ახლა საწყალი ყმაწვილი უბედურად გრძნობს თურმე თავს. ეს შენს თავგადასავალს ძალიან წააგავს, — მოულოდნელად დაამთავრა დონალდმა წყნარის ხმით. — მხოლოდ შენ იმაზე ბედნიერი ხარ, არა? შენ შეგიძლია სიცილი, სტვენა, სხვა-და-სხვა ოინები და... უეცრად დონალდის ნაზ სახეს რალაც ექვმა გადაჰკრა და აღერსით დაადო მეგობარს მხარზე ხელი. — ბიჭიკო! — წარმოსთქვა მან ნახად, — ბიჭიკო, ბედნიერი ხარ, არა?

ყმაწვილმა ძალდატანებით გაიცინა.

— ბედნიერი? რასაკვირველია, დონ! ბედნიერი ვარ, რამდენათაც ეს შესაძლებელია ჩემისთანა დიდ და თავხედ ბიჭისათვის. მაგრამ მოთხარი ერთი, საიდან გაიგე ყველა ეს, ექიმის ვაჟიშვილის ამბავი.

— დედაჩემმა ამის შესახებ დეიდა მერის მისწერა წერილი.

— დეიდა მერის?

— ჰო, დეიდა მერი ტემპლს. ახლა იმან უკვე ჯვარი და-

იწერა იმ სასწავლებლის დირექტორზე, სადაც ექიმ ზურჩაძის ვაჟი სწავლობდა.

ყმაწვილი მიხვდა, რაშია იყო საქმე და წყნარად დაუსტვინა. — დედა ტემპლი, რასაკვირველია, იგივე ქალბატონი ტემპლია, — გაიფიქრა მან თავისთვის, დონალდს კი უთხრა:

— განაგრძე შენი ამბავი.

— უკვე ყველაფერი ვსთქვი, რაც ვიცოდი. მხოლოდ დედა ჩემი დარწმუნებულია, რომ ყმაწვილი ყველაფერში მართალია. მან სთქვა, რაც უნდა ბევრი ილაპარაკონ, ამ ყმაწვილს არ შეეძლო ასეთი სისაძაგლის ჩადენაო.

ყმაწვილს თვალეები გაუბრწყინდა.

— მართლა ასე სთქვა? — ჰკითხა მან.

— სწორედ ასე! როდესაც დედა ჩემი მოდიოდა, ექიმმა მის შესახებ რად თავისი შვილი გაგზავნა სადგურზე. მან მიიტყლა დედა შინამდის. აი მაშინ გაიცნო დედამ. დედას სურს, რომ ის ხანდახან მაინც მოვიდეს ხოლმე ჩემთან, მაგრამ მე შენს მეტი არაფერ მინდა, ბიჭიკო! — დაამთავრა დონალდმა და მორცხვად შეჰყურებდა ყმაწვილს თვალეებში.

ყმაწვილს სახე აენტო და აღერსით დაუწყო დონალდს ხელზე ხელის სმა.

— ოჰ, პატარავ, — სთქვა მან. — დედა შენს რომ შეეძლოს ექიმის ვაჟიშვილის შევლა, რომ ის... რას ფიქრობს ამ ამბავზე ქალბატონი ტემპლი, ე. ი. ქალბატონი რანსომი?

— ის იმასვე ფიქრობს, რასაც ჩემი დედა. ორივე დარწმუნებულია, რომ ჩემი ექიმი ძალიან სასტიკად მოექცა შენს. მე ვერ გამიგია — რათ მოექცა ასე ექიმი. ის ხომ ძალიან კეთილი გულისაა.

დონალდი რამდენიმე წამს ჩაფიქრებული იყურებოდა შორს. — არაფერი სასიამოვნოა პატარა ავადმყოფ ბიჭად ყოფნა, — შენიშნა მან ღიჯად, — მაგრამ დიდბიჭებსაც ხშირად შეემთხვევათ ხოლმე სამწუხარო ამბავი. ხომ მართალია?

სამწუხარო ამბავი? მაგრამ ეს მწუხარება ახლა ისე მოსწყდა გულიდან ყმაწვილს, როგორც ხმელი ფოთოლი მოსწყდება ხოლმე ხეს შემოდგომაზე.



— მწუხარება, წყენა, პატარავე? — გაიმეორა მას ისეთი მზიარული ხმით, როგორც ჯერ დონალდს მისგან არ სმენია. — ოჰ, პირიქით! არავის არ შეუძლია სთქვას, რომ მას რაიმე დარდი აწუხებს, სანამ ქვეყანაზე მოიპოვება ერთი კაცი მაინც, რომელიც მას ენდობა და მისი სჯერა, იცი, ბევრს მხოლოდ წარმოდგენილი აქვთ, ვითომც რაღაც დარდი აწუხებთ, ნამდვილად კი ამის მზგავსი არა არის-რა.

**ნინო ნინიძე.**

(დასასრული იქნება).





# „ლუარსაბ-ბოცვაჲე.“

მ ზაფხულის ივნისში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ თბილისში გარდაიცვალა ქართველ საზოგადოებაში კარგად ცნობილი საზოგადო მოღვაწე პედაგოგი ლუარსაბ ბოცვაძე.



ლუარსაბი თავის მშობლებთან.

სწორედ იმ დროს, როცა ქართველმა ერმა თავი დააღწია ასი წლის სხვის მონობას, როცა ქართველი ერი თავისი თავის პატრონი გახდა და სახელმწიფოს აღმშენებლობით მუშაობას შეუდგა, ლუარსაბ ბოცვაძისთანა შრომის მოყვარე, მცოდნე, მომზადებული და უანგარო მუშაკების დაკარგვა ქართველი ხალხისათვის დიდ დანაკლისად უნდა ჩაითვალოს.

მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში საზოგადო ასპარეზზე განუწყვეტლივ მოღვაწეობა მეტად საძნელო და სამძიმო საქმეა, მაგრამ მიუხედავად ამისა განსვენებულმა ლუარსაბ ბოცვაძემ, საზოგადოების სიყვარულით გამსჭვალულმა, სძლია ყოველივე დაბრკოლება და პირნათლად შეასრულა თავისი მოქალაქობრივი მოვალეობა სამშობლო ერის წინაშე.

მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში განსვენებული ლუარსაბი იშვიათის სიყვარულით და ენერჯის თავ-აუღებელი შრომობდა ქართველი ერის გონებრივად წარმატებისათვის და ამ მხრით განსვენებულმა სხვებთან ერთად თვალსაჩინო კვალი გააღწია ქართველი ერის ცხოვრების საზოგადოებრივ ასპარეზს.

ამიტომ ჩვენ აუცილებელივს საქიროდ მიგვაჩნია მოკლედ მაინც გავაცნოთ „ნაკადულის“ მკითხველებს ვინაობა და ღვაწლი იმ დაულაღავი მუშაკისა, რომელიც აუტანელ და მძიმე პირობებში მთელი ოცდაათი წელიწადი ქართველი ერის საკეთილდღეოდ იღვწოდა, ყველგან და ყოველთვის ქართველი ხალხის ინტერესებს იშვიათის მხნეობით სამართლიანად იცავდა.

ლუარსაბ ბოცვაძე დაიბადა სოფელ ნოღაში, ქუთაისის მაზრაში. ლუარსაბის მამა, გერასიმე ბოცვაძე, სასულიერო წოდების კაცი იყო და იგი, თუმცა ნიეთიერი მდგომარეობა სათანადოთ ხელს არ უწყობდა, მაინც სულითა და გულით მონდომილი იყო შვილისათვის შესაფერი სწავლა-განათლება მიეცა. მამამ პატარა ლუარსაბი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიიბარა. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლიდან ლუარსაბი გადავიდა ხონის საოსტატო სემინარიაში, საცა მან კურსი დაამთავრა 1888 წელს.

ამავე წლის პირველ სექტემბერშივე ლუარსაბ ბოცვაძე დანიშნეს სოფელ წყალტუბოში, ქუთაისის მაზრაში, სამინისტროს სკოლის მასწავლებლად.

სოფელ წყალტუბოს მკვიდრნი ამ ეამად ძლიერ უნდობლად ეკიდებოდნენ სკოლას და თითქმის წინააღმდეგნიც იყვნენ ბავშვები მიიბარებინათ სასწავლებელში. ვიღაც ბოროტგამზრახველი სკოლის შენობის გადაწვასაც კი შეეცადა, მაგ-

რამ ეს ბოროტი განზრახვა დროზე გაუგეს და სკოლის შენობა განსაცდელს გადაარჩინეს. ლუარსაბ ბოცვაძეს მრავალი შრომა და მეცადინეობა დასჭირდა, რომ სოფლელები სკოლას ასე უნდობლად არ მოპყრობოდნენ. ლუარსაბი დატრიალდა სოფელში და სიტყვით და საქმით უმტკიცებდა ხალხს სკოლის დიად მნიშვნელობას. მართლაც მისმა დაუღალავემა შრომამ და საქმის სიყვარულმა უნაყოფოდ არ ჩაიარა. სამი წლის განმავლობაში წყალტუბოს სამინისტრო სკოლამ ლუარსაბის მეცადინეობით დაიმსახურა საზოგადოების სრული ნდობა და სიყვარული.

სოფელ წყალტუბოდან ლუარსაბი გადავიდა წინამძღვარიანთ კარის სამეურნეო სასწავლებელში, სადაც დაპყრო მხოლოდ ერთი წელიწადი, რის შემდეგაც იგი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის მიერ მოწვეულ იქმნა კავკავის სკოლის უფროს გამგე მასწავლებლად.

თითხმეტი წელიწადი მასწავლებლობდა განსვენებული ლუარსაბი კავკავში და ამ ხნის განმავლობაში დიდათ საგულისხმეო იყო მისი მოღვაწეობა კავკავის სკოლის უკეთ მოწყობისა და წარმატების საქმეში. სწორედ იმ დროს, როცა ლუარსაბი დანიშნეს მასწავლებლად კავკავში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სკოლა მოთავსებული იყო ნაქირავებ სახლში. განსვენებული ადგილობრივ მოღვაწეებთან ერთად შეუდგა სკოლის საკუთარი შენობის შექმნის ზრუნვას. მართლაც, სულ მოკლე ხანში ადგილობრივ საზოგადოების დახმარებით სკოლას საკუთარი შენობა მოუპოვეს, ააშენეს სკოლის საკუთარი ეკლესია და გამართეს მშვენიერი სათეატრო დარბაზი და ჭრა-კერვის სკოლა ქალებისათვის. ყველა ამ საშვილისშვილო საქმეების სათავეში სხვებთან ერთად უანგაროდ შრომობდა განსვენებული ლუარსაბიც. რაკი სკოლამ საკუთარი შენობა შეიძინა, სწავლა აღზრდის საქმეც სკოლაში უფრო მკვიდრ და საფუძვლიან ნიადაგზე დამყარდა განსვენებული ლუარსაბის მეცადინეობით და ხელმძღვანელობით.

განსვენებულს ღრმად სწამდა, რომ ერის კეთილდღეობის



მკვიდრ ნიადაგზე დასამყარებლად აუცილებლად საჭიროა ხალხში წერა-კითხვის ცოდნის ფართოდ გავრცელება. ამ აზრის განხორციელების საქმეს ლუარსაბმა მიაპყრო განსაკუთრებული გულისყური და სწორედ ამ აზრით კავკაეის სკოლაში და განსვენებული დავით სარაჯიშვილის ქარხანაში მან დაარსა საკვირაო სკოლები, საცა ჩვენი დაულაღავი პედაგოგი მდაბიო ხალხს და მუშებს ასწავლიდა წერა-კითხვას და ბუნდოვანი სურათების საშუალებით აწვდიდა შესაფერ კოდნას. მეტად ნაყოფიერი და საგულისხმიერო იყო ლუარსაბის ხანგრძლივი მოღვაწეობა კავკაეში, და ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ ქართველი ხალხი და კავკაეის ადგილობრივი საზოგადოება ვერასოდეს ვერ დაივიწყებს თავისი მოამაგის, განსვენებულის ლუარსაბის კავკაეში უანგარო და ნაყოფიერ მოღვაწეობას.

1906 წლის სექტემბრიდან ლუარსაბ ბოცვაძე მოიწვიეს თბილისის ყოფილ თავად-აზნაურთა ქართული გიმნაზიის მასწავლებლად და სიკვდილის ეამამდე ჩვეულებრივის შრომისმოყვარეობით მოღვაწეობდა ამ სასწავლებელში და თავისი პედაგოგიური პრინციპების მიხედვით სწრთენიდა და ამზადებდა ახალგაზღობას საზოგადო ასპარეზზე სამოღვაწეოდ. ლუარსაბის კეთილშობილური, სამართლიანი და მასთან ღმობიერი მოპყრობა ღრმად სწვედებოდა ახალგაზღობას ნორჩ გულში და ერთი ორად ნაყოფიერად ხდიდა განსვენებულის საპედაგოგო მოღვაწეობას.

1908 წელს ლუარსაბი აირჩიეს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის წევრად, და მას აქეთ ამ ფრიად საპატიო ლა პასუხის საგებ თანამდებობას სიკვდილამდე ღირსეულად ასრულებდა. წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ განსვენებული სასკოლო კომისიის თავმჯდომარედ აირჩია და სკოლების უახლოესი ხელმძღვანელობა მას ჩააბარა. დიდი შრომა და მეცადინეობა დასჭირდა ლუარსაბს, რომ წერა-კითხვის საზოგადოების სკოლები ერთრიგად მოეგვარებინა და სწავლა-აღზრდის საქმე ამ სკოლებში საღ და საფუძვლიან პედაგოგიურ საფუძველზე დაემყარებინა.



წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ში განსვენებული ლუარსაბი ერთ მშრომელ და გამჭრიახ გამგეობის წევრად ითვლებოდა და კიდევაც ამიტომ გამგეობა დიდათ აფასებდა ლუარსაბის საზოგადოების საკეთილდღეოდ მოღვაწეობას.

1908 წლიდან ლუარსაბ ბოცვაძის რედაქტორობით ისტამბუბოდა საპედაგოგო ეურნალი „განათლება“, რომელიც საზოგადოებაში ავრცელებდა საღ პედაგოგიურ პრინციპებს, სწორედ იმ პრინციპებს, რომელიც თანამედროვე პედაგოგიის ქვაკუთხედად უნდა ჩაითვალოს.

ლუარსაბ ბოცვაძე ამ ოცდაათი წლის განმავლობაში თითქმის ყველა ქართულ ეურნალ-გაზეთებში მონაწილეობას იღებდა. ეურნალ „ნაკადულში“ დაარსებიდანვე მუდმივად თანამშრომლობდა და ტფილისში გადმოსახლების შემდეგ ამ ეურნალის სარედაქციო კომისიის წევრადაც იქმნა მოწვეული.

ლუარსაბის სალიტერატურო ნაწარმოები უმთავრესად შეეხება საქართველოში სწავლა-აღზრდის უკეთ მოწესრიგების საქმეს. განსვენებულის შეურყეველი პედაგოგიური რწმენა იყო, რომ მოზარდი თაობის ნორმალური სწავლა-განათლება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საშობლო ენის საშუალებით. ამიტომ ლუარსაბი ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით, პირადის მოქმედებით ყველგან და ყველას იმას უმტკიცებდა, რომ საშობლო ენის გარეშე სწავლა-აღზრდის საქმე ჩვენში მოუხერხებელი და შეუძლებელიცააო. განსვენებულს ღრმად სწამდა, რომ ახალგაზრობა, როცა სწავლა-განათლებას ამ პრინციპის მიხედვით მიიღებდა, საშობლო მზარეს ქეშპარიტ სამსახურს გაუწევდა. კიდევაც ამიტომ იყო, რომ ლუარსაბი მთელი თავისი არსებით, მხნეობით და ენერგიით იცავდა თავის პედაგოგიურ პრინციპებს. ლუარსაბს სწამდა, რომ ქართველი ახალგაზრობა ადრე თუ გვიან ამ პრინციპების მიხედვით აღიზრდება და კიდევაც ამიტომ ახალგაზრობისათვის მუდამ თავგანწირული იყო, სულით და გულით შესტრფოდა ამ ახალგაზრობას და მის სწორსა და უტყუარ გზაზედ დასაყენებლად ყველა-

ფერს სწირავდა.


თავისდღეში არ დამაეიწყდება ერთი მეტად დამახასიათებელი ფაქტი ლუარსაბისა და ჩემი ცხოვრებიდან.

ეს ის დრო იყო, როცა უმაღლესი სწავლის მისაღებად პირველად რუსეთში მივემგზავრებოდი. განსვენებულს მაშინ არ ვიცნობდი, თუმცა წყალტუბო, საცა ლუარსაბი ამ დროს მასწავლებლობდა, ჩემი სამშობლო სოფლის მეზობლად მდებარეობს. რუსეთში გამგზავრების რამდენიმე დღის წინელ ჩემი სოფლის ეკლესიის გალავანში ნაცნობმა წერილი და ოცდახუთი მანეთი გადმომცა და მითხრა, — წყალტუბოს მასწავლებელმა გამოვიგზავნაო. ჯერ კიდევ გაუცნობელი ლუარსაბი მწერდა, მიიღეთ ჩემგან ეს ოცდახუთი მანეთი; თუმცა მკირეღია, მაგრამ სულით და გულით მოძღვნიღია. როცა სწავლას დაამთავრებთ, ვიმედოვნებ თქვენც სხვას დახმარებას გაუწევთ და ამრიგად გადავიხდით ერთი მეორის ვალსაო.

მე არ ვიტყვი, რამდენად გავამართლე განსვენებულის იმედი, ხოლო ის კი აშკარაა, რომ ლუარსაბი მაშინაც კი, როცა თვიურად იღებდა ჯამაგირს არა უმეტეს ოცი მანეთისა, ლუკმა პურს იკლებდა და მოსწავლე ახალგაზღობას იშვიათ მზრუნველობას უწევდა. ეს ფაქტი კი მეტად საგულისხმიერო და დამახასიათებელია განსვენებული ლუარსაბის საზოგადო მოღვაწეობის დაფასების დროს.

ესეთი იყო შრომა და საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწეობა იმ აღამიანისა, რომელიც ოცდაათი წლის განმავლობაში მხნედ და დაუღალავად ემსახურებოდა თავის სამშობლო ერს. დიახ, ლუარსაბ ბოცვაძემ პირნათლად შეასრულა თავისი მოქალაქობრივი მოვალეობა საზოგადოების წინაშე და მადლიერი ერი არასოდეს არ დაივიწყებს თავის უანგარო მოღვაწეს.

ალ. მიქაბერიძე.





ბელგიის ქალაქ გენტში, 1862 წელს მარამობისთვის 22, დაიბადა დღეს გამოჩენილი მწერალი — მორის მებერლინი.

ამ დიდებულ ადამიანის ცხოვრების შესახებ ჟურნალობით ძალიან ცოტა ცნობებია. თვითონ მ. მებერლინი თავდაბალი, შორცხვი კაცი, არ უყვარს, ზოგიერთისავეთ, თავის თავზე დაზარატი, და როცა სტუმრად, ან საზოგადოებაში არის სადმე — ეოვედთვის სცდილობს შეუმჩნეველად დარჩეს სოღმე... კრებებზე არ უყვარს ზირველი ადგილის დაჭერა, თამუჯდომარეობა და სხვა. როგორც ბეერს უყვარს.

ზატარა რომ იყო, მ. მებერლინი სწავლობდა გენტში სასულიერო სასწავლებელში. მებერლინს ეს სასწავლებელი და მასწავლებლები არ მოსწონდა, მგრამ მაინც გაათავა საშუალო სწავლა და შიიწადანა კეიმი გამოსულიყო. შეუგებებლმა მშობლებმა არ შიიანდომეს თავიანთ

შეიღოს სურვილის ასრულებას და დახმარება მხოლოდ ამ მიზნით აღუთქვას, თუ ახალგაზდა მორისი ვეჭილობას შეისწავლიდა.

რადგან უმადლესი სწავლის მიღება სულითა და გულით უნდა, მორის მეტერლინკ დაუბუღდა. გაათავა უმადლესი სსწავლებელი, გამოვიდა ვეჭილი, მაგრამ ვაი ამ ვეჭილობას... თვითონ მეტერლინკი ამბობს, — ვეჭილობის ნიჭი სრულიად არა მქონდა: ცოდნა, მართლაც, სხვაზე მეტი მქონდა, მაგრამ მსკერმეტრეველობა აკლდა. მალე გაანება ამ ხელობას თავი, წავიდა ზარიზში და იქ დაარსა ეოველდღიური გაზეთი. ამ გაზეთის გამოცემა უფულობის გამო მალე შეწყდა.

1889 წელს მ. მეტერლინკმა დაბეჭდა თავისი პირველი ზიეს „ზრინცესა მალენ“... ეს ზიეს, უფულობის გამო, მხოლოდ 25 ცალი დაბეჭდა, და საბეჭდაც მანქანის ბორბალს თვითონ მეტერლინკი და მისი მეგობარი ატრიალებდნენ. ეს 25 ცალი მ. მეტერლინკმა თავის მსლობელ მეგობრებს დაურია. გენტში რომ გაიკეს, მეტერლინკმა ვეჭილობას თავი დაანება და მწერლობას მიჰყო ხელით, ეველს გულწრფელად ებრალებოდათ მისი მშობლები და სწუნდნენ, რომ ასე გზავვალი აერია ცნობიერებაში.

ადვილა შესძლებულია მეტერლინკის ნაწარმოებისათვის სრულიად არავის მიექნა ეურადღება და მას, როგორც სხვა გამოხეილ მწერლებს და მუსიკესებს, დიდხანს მოუნდებოდა ბრძოლა მაზნის მისდწევით, მაგრამ, საბედნიეროდ, ახალგაზდა მწერალს ეურადღება მიექნა საფრანკეთის ცნობილმა მწერალმა ოქტავ მარსომ, რომელიც იმ დროს უკვე დიდ ავტორიტეტად ითვლებოდა. იმავე 1889 წ., ოქტავ მარსომ გაზეთ Figaro-ში მოათავსა აღფრთოვანებული წერილი ახალგაზდა მწერლის შესახებ. ზეეს აქ მოკვეთეს ამ წერილიდან რამდენიმე სტრიქონი: „მე არ ვიცი ვინ არის მეტერლინკი, — მოხუცია, თუ ახალგაზდა, მდიდარი თუ დარიბი, მაგრამ ის-ვი ვიცი, რომ ეს სხელი დღევანდლამდის არავის გაუგონია... ისიც ვიცი, რომ მორის მეტერლინკმა დასწერა ისეთი მშვენიერი რამ, ისეთი დადებული ზიეს შეთხზა, რომ მხოლოდ ეს ერთი ნაწარმოები სკამარისაა, რომ მისი სხელი ამას იქით სამუდამოდ უკვდავი იყოს და უვლამ მოწიწებით წარმოსთქვას ხოლმე. ეს ზიეს „ზრინცესა მალენ“ გახ-



ღავთ, რომლის მხატვრული შვენება, დრმა ფილოსოფიურმა უფრო მძლავრ სიღრმეს, ვიდრე შექსპირის სუბიექტისა ზიეს. ჩემი გულწრთელი აზრი ესეთია, და სურვიან დაშწამებს გადაჭარბებს\*.

მსტოვან მწერლის, ოქტავ მირბოს ასეთი მსუქლობა საზოგადოებამ უკმათოდ მიიღო, მით უმეტეს, რომ მეტერლინკა, როგორც ვთქვით, ბელგიელი იყო, ოქტავ მირბო-კა—ფრანგი. მას აქვთ მ. მეტერლინკს უწოდებენ ბელგიულ შექსპირს.

მ. მეტერლინკის მტრებს-კა ეგონათ—ოქტავ მირბო მოსყიდული იქნებოდათ. ამისთანა ქება იმეთ დიდებულ მწერლის მხრივ, როგორც იყო ოქტავ მირბო, მ. მეტერლინკი გაამხივება, და უფრო მეტის გატაცებით დაიწყო შრომა. მეტერლინკმა შეასწავლა უცხო ენები, სთარგმნა ზიესება და თხზულებანი ფრანგულად და თვითონაც დასწერა მრავალი ზიესა და ფილოსოფიური წიგნი, რამაც ისე გაუთქვა სახელი, რომ იმის ბადალი დღევანდლამდის არაუბნ მოიპოვება.

ერთმა მდიდარმა კაცმა, სახელად ნობელმა, დასტოვა დიდხდი ფული, რომლის ნაწილიც ეოკულ წელს უნდა გადაეცეს, სუბიექტის მწერალს ან მუსიკოსს, ან მხატვარს, ან მეცნიერს. ამისთანა საქმის უწოდებენ „ნობელის პრემიას“. ამ რამდენიმე წლის წინად ნობელის პრემია მორის მეტერლინკს მიართვეს...

ამ იმის დროს საფრანგეთის აკადემიას\*) წევრებმა ერთხმით სთხოვეს მეტერლინკს ამ აკადემიის საპტიო წევრი გამხდარიყო, მაგრამ, როგორც ვთქვით, მ. მეტერლინკი იმდენათ თავდაბალია, რომ უარი განაცხადა, დირსი არა ვარო.

დიდებულმა მწერალმა ბავშვებაც არ დაივიწყა. მან სთქვა ერთხელ: „ბავშვებისათვისაც უნდა დაუწერო ზიესო“, და 1909 წელს დასწერა „ღურჯი ფრინველი“, ეს მშვენიერა ფეერია, რომელიც ეოკულთვან უკვდავი იქნება და მრავალ თაობას დაატკბობს თავისი მხატვრული შვენებით. „ღურჯი ფრინველი“ მრავალჯერ გაახარებს ბავშვებს და დაიფიქრებს მოზრდილებს\*\*).

გიორგი ჯაბადარი.

\*) აკადემია—ფრანგული სამეცნიერო-სალიტერატურო დაწესებულება საფრანგეთში. აკადემიის წევრებად ირჩევენ გამოჩენილ მწერლებს.

\*\*\*) ეს მშვენიერი პიესა-ფეერია „ღურჯი-ფრინველი“ შემდეგ ნომერში დაიბეჭდება.

## ჭოტი და სინათლე.



ოსწყდა ზეცას ცხრა-თვალი მზე,  
ბუმბერაზ კლდეს მოეფარა;  
დღის სინათლეს გულ-საკლავი  
ღამის ფერი შეეპარა;

კით ტოროლა ძირს დაეშვა,  
მიაშურა მაღალ ყანას;  
აღარ ასმენს თვის ტკბილ ჰანგებს  
არც ზეცას, და არც ქვეყანას;

გლახმა თოხნა მიატოვა,  
გადაიდო თოხი მხარზე,  
სახლში მოდის ძილისათვის,  
მოლიღინებს მოღლილ ხმაზე.

დაწყვიტადა... მიყუდროვდა,  
არ ინძრევა არემარე;  
მუხჯ გოლიათს დაემზგზავსა  
დღით ხმაურა ტურფა მხარე.

მაგრამ აგერ—ვერხვის ტოტი  
 დაიხნიქა, შეშრიალდა  
 და რალაცა ფრთა-ფარფატა  
 ბნელ ჰაერში შეფრიალდა.

ძველი ბინა ვერხვის ტოტზე  
 გადასცვალა ახლა სხვაზე,  
 ნერგზე დაჯდა და გააბა  
 მან კივილი მწარე ხმაზე.

— ქოოტ, ქოოტ!—გაიძახის,—  
 მთლად მე დამრჩა არემარე;—  
 დღისით ცრემლი მომდიოდა,  
 და ახლა კი გავიხარე.

ვენაცვალე ბნელსა ღამეს,  
 მიყვარს მისი მეუფება;  
 მისი შიშით, გარდა ჩემსა,  
 ყველა ჰკრთება, ყველა ჰქრება!..

მე თავსა ვგრძნობ ბატონათა,  
 წინ ვერავინ დამიდგება;  
 ქოოტ, ქოოტ!—განი ყველამ,  
 გაიღვიძა, ქოოტი სდგება.

რა თავს ვიხლი დღის სინათლეს,—  
 მეჯავრება ქირივითა;  
 რომ შემეძლოს, ერთ-ორ წამში  
 ჩავქოლავდი ლოდით, ქვითა.

ოჰ, ნეტავი სულ ერთთავად  
 ღამე იყოს, ღამე ბნელი;  
 არ გამოჩნდეს მზისა სხივი,  
 არ გამოჩნდეს დღე ნათელი.

ნეტავი ის უგვანო მზე  
 გველეშაპმა დაიჭიროს;

რომ მის მოსვლით დილაობით  
ჩემმა მტერმა არ იღხინოს.

ჭოტი, ჭოტი!—მაგრამ დახეთ—  
შეერთა ჭოტი, შეეშინდა;  
ხმა ჩაჰკმინდა, და უეცრივ  
ძველ ბინაზე გადაფრინდა!—

მზემ სხივები სტყორცნა ზეცას,—  
გაუგმირა წყვდიადს გული;  
ლამის შეიღწი ცრემლსა ღვრიან,  
დღისანი კი,—ჰე, ფერხული!..

დ. ელიოზიშვილი.



მე-2 ნომერში მოთავსებულ შარადების და რებუსის ახსნა:

1. სნხელმწიფო,
2. ქვაბი,
3. გაუმარჯოს ბორკილ ახსნილ საქართველოს!



დასურათებული საზამთრო ჟურნალი

# „ნაკადული“

(წელიწადი შეთუხმეტე)

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით

საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით

მდირა-წლოვანთა და მოზრდილთათვის.

ჟურნალი გამოვა თვეში ერთჯერ მცირე-წლოვანთათვის—48 გვერდი და მოზრდილთათვის—64 გვერდი.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—55 მან. ნახევარი წლით—30 მან. ცალ-ცალკე: მცირე-წლოვანთათვის—30 მ. მოზრდილთათვის—30 მან.

ფოსტის ადრესი: თბილისი, „ნაკადულის“ რედაქცია. ტელეფონი 7—51.

რედაქციაში არის გასული წლის კომპლექტები.

## ხელის მოწერა მიიღება:

თბილისში—„ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პრასკ. შემოსასვლელი—დავითის ქუჩიდან, № 2, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა; ქუთაისში—ისიდორე კვიციანიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან, თ. შთავრიშვილთან და მატრონე მომჭორიასთან; ფოთში—ლუღმიღე მეგრელიძესთან; ბათომში—ტროფიმ ინასარიძესთან—ფოსტაში; თელავში—ვანო პაატაშვილთან; გორში—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან; ქიათურაში—ი. წერეთელთან; ხონში—მ. ა. კავკანიძესთან; ოზურგეთში—სალომე ხუნდაძესთან; ლანჩხუთში—მასწავლებელ ჯუღელთან.

რედაქტორი ნინო ნავაშიძე.

გამომცემელი თ. პაყუყუ იოსების ძე თუშანიშვილი.